პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! [illegible]

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაღრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 21 მე-2 სართული ტელეფ. 5—42

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. წინპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 76 ხუთშაბათი, 5 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი ,0.000 მან. № 76

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

ანგორის მთავრობამ მიიღო მოკავშირეთა ნოტა, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკების განახლებას ლოზანაში.

ესსენში საოკუპაციო ჯარებმა მოჰკლეს 11 გერმანელი მუშა და დასჭრეს 80.

დაიწყო საგარეო მოლაპარაკება უნგრეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

პარიზში გავრცელდა ხმები ბონარ-ლოუს მოსალოდნელი გადადგომის შესახებ.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზეტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 21, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე— ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—4

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 6 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი

მენშევიზმის გახრწნის შესახებ

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუხაძე.

შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგშია მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საშინაო საკითხი.

პრეზიდიუმი.

(ერ. 301—2—1)

ესსენის ამბები

რურის ოკუპაციის მთელი სამი თვის განმავლობაში არ დატრიალებულა ისეთი საშინელება, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში ესსენში.

რურის გერმანელ მოქალაქეთა და მუშების ყოველმხრივ შევიწროება, დაპატიმრებები, გაძევება, საერთოდ სასტიკი რეპრესიები, ცალკეულ პირების დახვრეტაც კი ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს ფრანგ ოკუპანტებმა, რათა გაეტეხათ გერმანიის ხალხი და ფაქტიურად სავსებით დაუფლებოდნენ რურის რაიონის სიმდიდრეს.

მაგრამ ის, რაც მოხდა ესსენში ამას წინად „კულტუროსან" ფრანგების მიერ, არამც თუ სცილდება ასეთი „ჩვეულებრივობის" ფარგლებს, არამედ უმაგალითო სიმხეცეს წარმოადგენს, ამასთან მაჩვენებელია ბევრი რამის.

ფრანგ ჯარის-კაცებმა, რომლებმაც დაიკავეს კრუპის საავტომობილო გარაჟები, და ამ ქარხნის მუშებ შორის მოხდა სისხლიანი შეტაკება, რომლის შედეგად მოკლულია 11, ხოლო დაჭრილი 54 მუშა.

ესსენის მუშების დაღვრილ სისხლისათვის პასუხისმგებელი პუანკარე ამბობდა, რომ ებრძვის—არა გერმანიის მუშებს, არამედ ამ ქვეყნის კაპიტალისტებს, რომელთაც, მისი სიტყვით, არ სურთ საფრანგეთს გადაუხადონ „სამართლიანი" რეპარაციები.

ისედაც ცხადი იყო, ხოლო ესსენის ტრაგედიამ ზედმეტად ნათელყო, რომ საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკა მიმართულია სწორედ გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ. რეპარაციების და ოკუპაციის მთელი სიმძიმე აწევება მხრებზე გერმანიის მხოლოდ მშრომელ მასსას, და არა ბურჟუაზიას.

ესსენის ამბები აშიშვლებს როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის ბურჟუაზიის ვერაგულ პოლიტიკას მუშათა კლასის მიმართ.

ესსენის სისხლიანი შეტაკება არის უშუალო შედეგი პროვოკაციის, რომელზედაც წამოეგნენ ოკუპაციის რეჟიმით მოთმინებიდან გამოსული რევოლუციონური მუშები.

გერმანიის ნაციონალისტურ ბურჟუაზიას სურს ნაციონალური სიძულვილი გააღვივოს თავისი ქვეყნის მუშათა კლასში საფრანგეთის ხალხის მიმართ, რათა ამით თვითონ აიცილოს მისი რისხვა, მიაპყრას მისი ყურადღება და ნებისყოფა სხვა მხრივ, და არა თავის წინააღმდეგ, რათა აიშოროს სამოქალაქო ომი და შექმნას პროლეტარიატთან „ერთიანი ფრონტი", ე. ი. ხელფეხი შეუბორკოს მას, დაიმონოს ის და [illegible] უწინდებურად.

რომ ასეთი განზრახვა ამოქმედებს გერმანიის ბურჟუაზიას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ „ნაციონალისტურმა ელემენტებმა გამოიყენეს ფრანგების მიერ საავტომობილო გარაჟების დაჭერა, რათა გამოეწვიათ შეტაკება კრუპის მუშებსა და ფრანგებ შორის", „როგორც ამას იუწყება „როტე ფანე".

კომუნისტი უანდლერი, რომელიც განგმირულ იქნა ფრანგების ტყვიით იმ 11 მუშებ შორის, ცდილობდა შეეჩერებინა უწესოებისაგან ნემეცი ნაციონალისტები.

ამ გვარად, ცხადია, რომ სისხლის ღვრის გამოწვევა ესსენის მუშებსა და ფრანგ ჯარისკაცებ შორის, ამით უფსკრულის გათხრა საერთოდ გერმანიის და საფრანგეთის მუშათა კლასს შორის შედიოდა გერმანელ ნაციონალისტების განზრახვაში.

არა ნაკლებ დამღუპველია საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის ფრანგ და გერმანელ მუშების დახლოვება, კერძოდ მათ მიზანს შეადგენს გაღრმავება დამოკიდებულებისა რურის მუშებსა და აქ მყოფ ფრანგ ჯარისკაცებს შორის. საქმე ის არის, რომ ეს ჯარის კაცები სამხედრო ფარაჯაში გამოხვეული მუშები და გლეხებია, რომელთაც არაფერი არ უნდა ჰქონდეთ სადავო გერმანიის მუშათა კლასთან. ხანგრძლივად ყოფნა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამასთან რევოლუციონურ მუშების რაიონში უეჭველად გავლენას მოახდენს მათზე, გამოაფხიზლებს მათ კლასობრივ შეგნებას და დაანახვებს, რომ ისინი იბრძვიან მათთვის უცხო მიზნისათვის, კაპიტალისტების ინტერესებისათვის, მოძმე პროლეტარიატის დასახშობად.

ამას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს დაძმობილება რურის და საერთოდ გერმანიის მუშათა კლასთან და იარაღის შებრუნება თავიანთი დღევანდელი მბრძანებლების წინააღმდეგ.

ამაზე უფრო საშიში არაფერია საფრანგეთის იმპერიალიზმისა და სამხედრო კასტისათვის. ამიტომ ისინი ცდილობენ ფრანგ ჯარის-კაცების კლასობრივ შეგნების დაბნელებას, მათში მხეცური ინსტინქტების გამოწვევას და გერმანელ მუშების წინააღმდეგ ამხედრებას. ამ მხრივ საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვით ფრანგ ოფიცრებმა უარი განაცხადა კრუპის მუშებთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და ბრძანება გასცა დაეწყოთ მათთვის სროლა.

მაგრამ საკითხავია, შესძლებენ კი კაპიტალისტები და ნაციონალისტები მშრომელ მასსების ბოლომდე გასულელებას და მათ თავიანთ ბრმა იარაღად გადაქცევას.

ესსენის ამბები ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის პროლეტარიატს ჩაწვდნენ თავიანთი ქვეყნების ბატონ-მმართველ წრეების ფარულ და ბნელ განზრახვებს. ესსენის ტრაგედიამ უნდა ითამაშოს ნაციონალისტურ ბურჟუაზიის გავლენისაგან მუშათა კლასის გაწმენდის, განთავისუფლების როლი.

ამან, წინააღმდეგ ბურჟუაზიის სურვილისა, უნდა განამტკიცოს ამ ორი ქვეყნის მუშების სოლიდარობა.

ესსენის მუშების უმანკო სისხლი ამაოდ არ ჩაივლის. მას ექნება უდიდესი გამაფხიზლებელი მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის.

ენთუზიაზმიდან ორგანიზაციული საქმიანობისაკენ

წითელი საჰაერო ფლოტის შექმნის და მშენებლობის საქმე ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ განხორციელების გზაზე. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს თუ როგორის გატაცებით ეკიდებიან საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსები ამ უდიდესი მნიშვნელობის აქტს, რომელსაც ისინი თვლიან ეკონომიური აღორძინების გეგმის განუყოფელ ნაწილად. უსათუოდ გრანდიოზული ძალა არის ჩამარხული მუშათა კლასში, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი დაბრკოლება—ამ დაბრკოლებებს ის ულმობლად ანგრევს თავისი მიზნების მისაღწევად. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი სასტიკი სამოქალაქო ომის პერიოდს მისი [illegible] პროცესში ჩვენ დავინახავთ ეტაპების მთელ რიგებს, რომლებიც ახასიათებენ ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის კრიზისს და ამავე დროს, პარალელურად კრიტიკული მომენტების საზღვარზე ნათლად სჩანან ლოზუნგების რიგი, რომელთა რეალიზაცია ქმნიდა იმ ურყევ და მტკიცე ძალას, რომელმაც დაასხვრია ჩვენი მტრები ყველა ფრონტებზე და საბჭოთა ხელისუფლებას მიანიჭა ის მიღწევები, რომელიც აძლევს მას სალი კლდის სიმტკიცეს როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობაში.

მაგალითისათვის საკმაოა მიუთითოთ თუგინდ შემდეგ ლოზუნგებზე: „ყველაფერი ბრძოლის ფრონტისათვის, პროლეტარებო—ცხენზე, ძირს პარტიზანობა, ყველა—სამეურნეო ფრონტზე". ყველა ჩვენთაგანს ახსოვს თითეული ამ ლოზუნგის წარმოშობის აუცილებლობა და ის თუ როგორის სიმტკიცით და წარმატებით გაატარეს ეს ლოზუნგები ცხოვრებაში მშრომელმა მასებმა.

ახლა ჩვენ გვაქვს არა ნაკლები მნიშვნელობის ლოზუნგი: „საბჭოთა რესპუბლიკებს სჭირია ძლიერი წითელი საჰაერო ფლოტი". და მართლაც, საჰაერო ფლოტის აუცილებლობა მშრომელი მასების მიერ გათვალისწინებულია მთელი სერიოზულობით, ისინი მზად არიან ყველაფერი შესწირონ ამ ლოზუნგის განხორციელებას. ყოველ დღე ჩვენ ვიღებთ ცნობებს, რომ ამა თუ იმ ქარხანამ თუ ფაბრიკამ, მაზრამ ან ორგანიზაციამ დაადგინა შეიძინოს საჰაერო აპარატი ან გადადვას განსაზღვრული თანხა ამ მიზნისათვის. ამ მოხალისურ ნაბიჯებთან ერთად ეწყობა აგრეთვე მთელი რიგი კომერციულ ამხანაგობებისა და ორგანიზაციებისა საჰაერო ესკადრების შესაქმნელად.

— ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საჰაერო ფლოტის შექმნის შესახებ ლოზუნგის რეალიზაცია ახლო ხანში დამთავრდება არა ნაკლების ბრწყინვალე შედეგებით, ვიდრე ზემოხსენებულ ლოზუნგების რეალიზაცია დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძლიერ გვახარებს საჰაერო ფლოტის მოხალისური მშენებლობის განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობა, რომელიც უსათუოდ მოგვცემს ჩვენ [illegible] წითელ საჰაერო ფრინველებს. ყოველ შემთხვევაში საჭიროთ ვთვლით ხელახლა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ მარტო საჰაერო ესკადრების შექმნით, საზღვარ-გარეთ მათი შეძენის საშუალებით, არავითარ შემთხვევაში დაკმაყოფილება არ შეიძლება. **ეს იქნებოდა უდიდესი გამოუსწორებელი შეცდომა, იმდენადვე ცალმხრივი, რამდენადაც დაუშვებელი.** ჩვენ შემოქმედებას, ჩვენს უდიდეს მუშაობას საჰაერო ფლოტის შესაქმნელად, ჩვენ უნდა შევქმნათ მტკიცე მატერიალური ფუნდამენტი. ასეთია ავიო-მრეწველობა, როგორც შემადგენელი ნაწილი ამიერ-კავკასიის საერთო სამეურნეო გეგმისა. ისე როგორც საერთო სამეურნეო გეგმისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია ავიო-მრეწველობის არსებობა, ისევე, უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია საჰაერო ფლოტის კვება, მისი ძირითადი ბაზის შექმნა. ერთი გამომდინარეობს მეორიდან, დამოუკიდებლათ არსებობა მათ არ შეუძლიათ. მრეწველობის სახელმწიფო ორგანოებმა ის კითხვა დღის წესრიგში უნდა იქონიონ ისეთივე სიჩქარით, როგორითაც მშრომელი მასები ახორციელებენ საჰაერო ფლოტის შექმნის ლოზუნგს.

ამასთანავე ერთად საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ არ არის მოწყობილი უფრო მართალი რომ ვთქვათ არ არსებობს ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც თავის ხელში გააერთიანებდა საჰაერო ფლოტის შექმნის საქმეს ამიერ-კავკასიის ფარგლებში. არ შეიძლება დაუშვათ ასეთი **შეუთანხმებელი წესი**, ყოველ შემთხვევაში ახლობელი პერიოდისათვის, როცა ცალკე ორგანიზაციები და დაწესებულებები დამოუკიდებლად იძენენ საფრენ აპარატს და დამოუკიდებლადვე იყენებენ მას. არა მიზან შეწონილი და არა პრაქტიკულია ასეთი მიდგომა როგორც საჰაერო ფლოტის შექმნის საქმისადმი როგორც ისე მისი პრაქტიკული განხორციელებისადმი მატერიალური ექსპლოატაციის მნიშვნელობით.

ამის დაშვება, ნიშნავს ამ საქმის წინდაწინვე დაღუპვათ განწირვას.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერ-კავკასიაში საჰაერო ფლოტის შექმნის საქმე დაუყონებლივ გაერთიანებული იქნება განსაკუთრებული სრულიად კომპეტენტიური ორგანიზაციის ხელში ამიერ-კავკასიაში წითელი საჰაერო ფლოტის მოხალისე შემქნელების რიცხვიდან.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ განსაკუთრებული ორგანიზაციის მოწყობის საქმეს ხელში აიღებს ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლიუციო საბჭო თავისი სამხედრო საჰაერო ფლოტის სამმართველოს სახით.

ა. ეგოროვი.

კავშირი სოფელთან

ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა სხივებმა სოფლებშიაც მიაღწია და თვით სიბნელით მოცულ კუთხეებშიაც გამოაჩინა თავისი ძლევა მოსილი გავლენა; იქაც დაეცა ძველი კერპები, მებატონე, მევახშე და სამღვდელოება. მოისპო ბატონყმობის ნაშთები, დაეცა სამღვდელოების გავლენა, მემამულეთა სასახლეები შკოლებათ იქცა, ეკლესიები კლუბებათ, საიდანაც გაბედულათ უნდა გაისმას ცრუმორწმუნეობის ნაცვლად თანამედროვე მეცნიერების ჭეშმარიტების ღაღადი, მონობაში წელმოწყვეტილი გლეხობამ უნდა მიიღოს ზიარება კულტურის და განათლების. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და ლოღიკურ დასასრულამდე უნდა იქნას მიყვანილი.

ადვილი არ არის ამ საქმის სასურველად დამაგვირგვინებელი მუშაობის წარმოება, სოფელში ნაკლებათ მოიპოება ჯეროვანათ მომზადებული პარტიული ამხანაგები და საბჭოთა თვალსაზრისით გამსჭვალული კულტურული მუშაკები, მიწის მიცემა გლეხისთვის შედარებით უფრო ადვილი საქმეა, მაგრამ მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნას, ახალ საფუძველზე აღზრდას გაცილებით უფრო დიდი ძალა და ენერგია სჭირდება. აქ საქმე გვაქვს საუკუნოებრივ ტრადიციულ გონებრივ დამონებასთან, დაბეჩავებასთან, როდესაც ხშირათ გლეხს თანამედროვე მეცნიერებაზე უფრო რომელიმე მატყუარა მღვდლის სჯერა და ექსპერიმენტალურ მედიცინას დედაბრების მკითხაობა ურჩევნია.

გლეხს დღემდე კავშირი ნაკლებათ ქონდა კულტურასთან, უკანასკნელს ის არ იცნობდა, ყოველგვარი ტეხნიკური გამოგონება და ახალი იდეები ან მორიკანობათ მიაჩნდა, ან სასწაულათ... ამ მხრივ საერთაშორისო და სამოქალაქო ომებმა რამოდენიმეთ ნაწილობრივ შესცვალეს მისი შეგნება, როდესაც ისინი ქალაქებში და თვით ომის ასპარეზზეც ეცნობოდენ ახალ ტეხნიკურ მეცნიერულ გამოგონებებს და აზრებს. მაგრამ უშუალო მონაწილეობა ამ ომებში მხოლოდ გლეხობის ნაწილმა მიიღო, დანარჩენი თავის სოფელს არ გასცილებია. ეს უკანასკნელი მეტად კონსერვატიულია და ის მეტად აფერხებს საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებას სოფლად.

გლეხობის კულტურულათ ამაღლების მიზნით და მისი ქალაქის პროლეტარიატის კავშირის განმტკიცების საკითხით საბჭოთა რუსეთში მეტად დაინტერესებული არიან.

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია სოფელთან მტკიცე დაკავშირებულის გზების ძებნაშია. სოფელი და ქალაქი საერთო მოძრაობის ფერხულში უნდა იყოს ჩაბმული, მათი გული ერთნაირად უნდა სცემდეს, სოფელი ქალაქის წინსვლას არ უნდა ჩამორჩეს ქალაქის ენა სოფლისთვის გასაგები უნდა იყოს. კომუნისტური პარტიის და მთავრობის მოქმედებანი ფართო გამოძახილს უნდა პოულობდეს სოფელშიც. ქვეყნის ეკონომიურ კულტურული აღორძინება მხოლოდ საერთო ძალით არის შესაძლებელი.

ამ მიზნით იქ. ქალაქებში დაარსებულია „გლეხთა სახლები", სადაც სოფლის მუშას შეუძლია მისვლა, როგორც თავის ოჯახში; იქ ის მიიღებს ყველა მისთვის საჭირო ცნობებს, დახმარებას. დღემდე ქალაქებში, სადაც ცენტრალური ორგანოები იყვნენ მოთავსებული გლეხს უძნელდებოდა ჩასვლა, მაგრამ ხშირად ის კიდეც ვერ მიაგნებდა იმ დაწესებულებას, რომელიც მას აინტერესებდა. ქალაქი მისთვის უცხო იყო და უცხოთვე რჩებოდა. „გლეხის სახლები" ამ მდგომარეობას ძოსპობენ გაუადვილებენ მას კავშირის ქალაქის კულტურ-ეკონომიურ-ადმინისტრატიულ დაწესებულებებთან. და გზას უჩვენებენ ახალი ცხოვრებისაკენ. მეორე საშუალება გლეხობასთან დაკავშირებისა არის შეფობა ამა თუ იმ სოფელზე თუ თემზე, რომელიც ეს ეს არის იწყება და ის აუცილებლათ ფართე ხასიათს მიიღოს. შეფი ზრუნავს თავისი მხედველობის ქვეშ აყვანილ სოფელზე იზიარებს მის ჭირ-ვარამს მჭიდრო კავშირს იჭერს მასთან ხელს უწყობს მის კულტურულ-ეკონომიურ ამაღლებას.

ეს ზომები „გლეხთა სახლების" დაარსება და შეფობა აუცილებლათ საქართველოს ცხოვრებაშიც უნდა იქნას გატარებული და რაც შეიძლება სერიოზული, საქმიანი ხასიათის მიცემით. გლეხობის დაკავშირებამ ქალაქის პროლეტარიატთან ჩამოყალიბებული ფორმა უნდა მიიღოს. სიტყვა საქმედ უნდა იქცეს გლეხობა გამოყვანილ უნდა იქმნეს იმ მდგომარეობიდან, რომელშიდაც ის ჩავარდნილიყო ყოფილი მთავრობების მიზეზით. აგრარულ რევოლიუციას სოფლად კულტურული რევოლიუციაც უნდა მოჰყვეს.

ი. ბ.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 17).

მოსკოვი. 3 აპრილი. **ტემპერატურა 37,5 პულსი—104. კატარალური მოვლენა ფილტვებში არ იზრდება. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

მოსკოვი—3 აპრილი, დღის 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ბუმკე.**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

რურის ოლქის ოკუპაცია

საფრანგეთის და ბელგიის ჯარისკაცები იღვიძებენ.

მოსკოვი. 4 მარტი. საფრანგეთის და ბელგიის რურის საოკუპაციო ჯარებში ხშირდება დაუმორჩილებლობა და დეზერტირობა. ამას წინათ მაინცში სადგურზე, რომელიც გარშემორტყმული იყო საფრანგეთის ჟანდარმერიით, ჩამოვიდა მატარებელი საფრანგეთის ალპიის მსროლელებით, ჩამოსული მსროლელები დააწყვეს წყვილ-წყვილათ და დაუყონებლივ მოათავსეს მეორე მატარებელში და გაგზავნეს ელზასის მიმართულებით.

გერმანია უარყოფს ხელშეკრულობის შესახებ გავრცელებულ ხმებს.

მოსკოვი. 4 აპრილი. საფრანგეთის პრესის მიერ გავრცელებულ ხმების გამო, თითქოს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა ლონდონში და ვაშინგტონში განაცხადეს, რომ გერმანია რურის განთავისუფლებამდე მზათ არის შეუდგეს მოლაპარაკების დაწყებას, გერმანიის ოფიციალური ხელისუფლებანი იუწყება, რომ ეს სავსებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ესსენის ტრაგედია.

მოსკოვი. 4 აპრილი. სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, რომ ესსენის სისხლის მღვრელი შეტაკება წარმოადგენს არაჩვეულებრივ მხეცურ აქტს. როდესაც საავტომობილო გარაჟების დაკავების შემდეგ გამოჩნდა სარეკვიზიციო კომისია, იგი იძულებული იყო არავითარი განკარგულება არ გაეცა ისე წასულიყო იქიდან მუშების უზარმაზარ რიცხვის შეკრების გამო მიუხედავათ ამისა და საფრანგეთის ოფიცრების ბრძანებისა, სროლის ატეხის შესახებ, მუშათა შელადები მაინც შეეცადნენ მათთან მოლაპარაკების დაწყებას, მაგრამ ამგვარი ცდა უნაყოფოთ ჩატარდა. ფრანგებმა დაიწყეს სროლა. ირკვევა, რომ მუშების უმეტესი ნაწილი დაჭრილია ტყვიით ზურგში. ბერლინის უკანასკნელ ცნობებით დახოცილთა რიცხვი უდრის 11 კაცს. ამის გარდა სამი მუშა დაჭრილია სასიკვდილოთ და 30-დე დანაწილებულია სამკურნალოებში. გაზეთი „ფორვერტსი" ესსენის ამბების გამო სწერს, რომ პუანკარემ ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ იბრძვის მუშების წინააღმდეგ, მიუხედავათ ამისა მეორე დღეს ესსენის ქვანახშირზე ეგდო საფრანგეთის ტყვიებით განგმირული 13 მუშის გვამი. კრუპის ფირმის დირექცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქარხკომების წევრებმა წინადადება მისცა საფრანგეთის სარდლობას აეღოთ თავის თავზე პასუხისმგებლობა ქარხნის ტერიტორიიდან მუშების გაძევების შესახებ. ქარხკომის წინადადება უარყო ფრანგმა კომანდირმა. შაბათიდან ესსენსა და ბერლინს შორის ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია.

გერმანიის პროტესტი.

ბერლინი. 4 აპრილი. გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს გაუგზავნოს საფრანგეთის მთავრობას პროტესტი ესსენის კრუპის ქარხნებში მუშების მოკვლის წინააღმდეგ.

ჩვენ ეს ადრე ვიცოდით.

ბერლინი. 4 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ჰიუმანიტე" სასტიკად აკრიტიკებს საფრანგეთის ჯარების მიერ ესსენის მუშებისათვის სროლის ატეხას და აცხადებს, რომ ამის გათვალისწინება უფრო ადრე შეიძლებოდა.

საპროტესტო გაფიცვა.

ბერლინი. 4 აპრილი. ესსენში კრუპის წარმოებების მუშა-მოსამსახურეებმა გაატარეს სამშაბათს 24 საათის საპროტესტო გაფიცვა, მუშების მოკვლის და დირექტორების დაპატიმრების წინააღმდეგ.

იტაცებენ ხალხის ფულებს.

ბერლინი 4 აპრილი. ბოხუმში ფრანგებმა მიითვისეს კომერციული ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში კასის ფულების გარდა, ხაზინის განძეულობა.

ამბების შემდეგ.

ბერლინი. 4 აპრილი. კრუპის ქარხნის 4 დირექტორის დაპატიმრებასთან ერთად ფრანგები დაეძებენ კიდევ 2 დირექტორს, რომლებიც არ იმყოფებოდენ ესსენში მომხდარი ამბების დროს. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა გრეცნერმა განუცხადა გენერალ დეგუტს პროტესტი საფრანგეთის სამხედრო წრეების სისასტიკის წინააღმდეგ და მოითხოვა წარდგენ სამხედრო სასამართლოს წინაშე, რათა დაამტკიცოს თავისი პროტესტის სამართლიანობა.

ოკუპაციის გარშემო

უმიზეზოთ დახვრეტა.

ბერლინი. 4 აპრილი. გაზ. „დეილი ქრონიკლი" იხილავს რა ესსენის ამბებს აღნიშნავს, რომ ამ ამბების დროს ფრანგების მხრივ ერთი დაჭრილიც არ ყოფილა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ გერმანელები არავითარ საბაბს არ აძლევდენ ფრანგებს დაეხვრიტათ ვინმე და მაშასადამე ფრანგების ჩივილი, რომ ვითომც გერმანელი მუშები თავს ესხმოდენ მათ სიმართლეს მოკლებულია. რეიტერის სააგენტოს ესსენის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის მუშების მხრივ არავითარ საწინააღმდეგო გამოსვლებს არ ქონია ადგილი.

გაუფრთხილებლად.

ბერლინი. 4 აპრილი. ესსენში კრუპის ქარხნების მუშა-მოსამსახურეების საბჭომ, ამბების დაწვრილებით გამოძიების შემდეგ, სცნო, რომ მუშებისათვის სროლის ატეხა დაიწყო გაუფრთხილებლად. საბჭომ გამოიტანა პროტესტი საოკუპაციო ხელისუფლების მხრივ სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ.

ინგლისის მოთხოვნილება.

ბერლინი. 4 აპრილი. „ვესტმინსტერ გაზეტ"-ის ცნობით, ინგლისმა მიმართა საფრანგეთს თხოვნით, რათა აღდგენილი იქნეს რკინის გზის მიმოსვლა ლონდონ-კელნს შორის, რისთვისაც საჭიროა საფრანგეთის კონტროლის გაუქმება და ინგლისის საოკუპაციო ზონისათვის ფრანგების მიერ დაკავებულ რაიონებიდან ნახშირის, და სხვა ნედლი მასალების მიწოდება ინგლისის განზრახული აქვს მოსპოს დაბრკოლებები გერმანიის დაკავებულ რაიონებიდან პროდუქტების ინგლისში გაგზავნისათვის.

ბურჟუაზიული მთავრობა თათბირობს პაპასთან.

ბერლინი. 4 აპრილი. მიუნსტერიდან იტყობინებიან, რომ კვირას შესდგა ვესტფალიაში და დიუსელდორფში მყოფ გერმანიის რწმუნებულების თათბირი პაპის წარმომადგენელთან ტესტთან, რომელიც დარჩება ესსენში დაახლოვებით 2 კვირით რათა პაპის დავალებით დაწვრილებით გაეცნოს რურის მდგომარეობას. საუბარი შეეხებოდა რურის კონფლიქტს და მისი მოგვარების წესებს.

ახლო აღმოსავლეთი

ზაღლულ-ფაშას განთავისუფლებისათვის.

ბერლინი. 4 აპრილი. ინგლისის მთავრობამ გაათავისუფლა ზაღლულ-ფაშა და ნება დართო გაემგზავროს პარიზში სამკურნალოთ, მაგრამ აუკრძალა ეგვიპტეში შესვლა.

არჩევნების დამთავრების ვადა.

პარიზი. 4 აპრილი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის დიდ ეროვნული კრების არჩევნები უნდა დამთავრდეს ორი თვის განმავლობაში.

ბრძოლა ალკოჰოლთან.

პარიზი. 4 აპრილი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ოსმალეთში აკრძალულია სპირტის სასმელების ხმარება. ფიქრობენ, რომ ამ აკრძალვის წინააღმდეგ პროტესტს განაცხადებს მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი.

განათლების მინისტრის გადადგომა.

პარიზი. 4 აპრილი. საბერძნეთის განათლების მინისტრი სიოტისი გადადგა. მის ადგილზე დაინიშნა ყოფილი დეპუტატი განდონალ.

მოლაპარაკების განახლების გამო.

პარიზი. 4 აპრილი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ანგორის მთავრობამ მიიღო მიპატიჟება ლოზანის კონფერენციაზე; ამასთანავე ოსმალეთის დელეგაცია ქემალ-ფაშას მეთაურობით გაემგზავრება ლოზანაში მიმდინარე კვირის ბოლოში.

ორი თვე.

ბერლინი. 4 აპრილი. რომის გაზ. „ტრიბუნას" ცნობით ლოზანის კონფერენცია დაიწყება ალბად აპრილის დამლევს და გაგრძელდება 2 თვეს.

მოკავშირეთა ახალი ნოტა.

მოსკოვი. 4 აპრილი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ სტამბოლიდან მიღებულ ცნობის თანახმად მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გადასცეს ანგორის მთავრობას მოკავშირეთა ნოტა, რომელიც შეიცავს ექსპერტთა ლონდონის კონფერენციის დადგენილებას. გაზ. „დეილი მეილის" ცნობით, ნოტაში აღნიშნულია, რომ მოკავშირეები პრინციპიალურად თანახმანი არიან შეთანხმების ტექსტის იმ მუხლების გადასინჯვაზე, რომელიც ეხება უცხოელებს, მაგრამ უარყოფს ეკონომიურ საკითხების განხილვას.

ნოტა წინადადებას აძლევს ოსმალეთის მთავრობას, მიიღოს ყოველგვარი ზომები ლოზანაში მოლაპარაკების განახლებისა და კონფერენციის მოწვევის ვადის დანიშვნისათვის.

ნოტა აღნიშნავს აგრეთვე, რომ მოკავშირეები დარწმუნებულნი არიან საზავო ხელშეკრულების დადების სიადვილეში.

ლტოლვა მესოპოტამიის ნავთისაკენ.

მოსკოვი. 4 აპრილი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს, რომ ამერიკას სურს მიიღოს ჩესტერის მიერ აღებული კონცესიების დამტკიცება, კონცესიები ანიჭებენ ამერიკელებს უფლებას გაიყვანონ რკინის გზა და ექსპლოატაცია უყონ ნავთს და ნახშირს მცირე აზიაში და მესოპოტამიაში,

ისევ ლოზანა.

მოსკოვი. 4 აპრილი. ლიფილდიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ნოტა ოსმალეთის კონტრ-წინადადებების შესახებ გამოქვეყნდა ევროპის სახელმწიფოებში და ანგორაში. ფიქრობენ, რომ ახალი კონფერენცია განახლდება აპრილის შუა რიცხვებში. მოკავშირეები ფიქრობენ, რომ ახალი მოლაპარაკების დროს ურთიერთ დათმობის გზით შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა. მოლაპარაკების ადგილათ ნოტა ნიშნავს ისევ ლოზანას.

ოსმალეთის დელეგატების გამგზავრება

მოსკოვი. 3 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით ოსმალეთის დელეგატები ლოზანის ახალ კონფერენციაზე ამ კვირაში გაემგზავრებიან.

ინგლისის ახალი ინტრიგა.

მოსკოვი. 4 აპრილი. გაზ. „ვარლიკის" ცნობით ინგლისელებმა და ამერიკელებმა დილმანის ოლქში დაასახლეს ამერიკელთა 400 ოჯახი. გაზეთი ამ ნაბიჯს ახასიათებს როგორც ინგლისის ახალ ინტრიგას ოსმალების და ქურთების მიმართ.

იმავე გაზეთის ცნობით სპარსეთის მთავრობა აღმოსავლეთის საზღვარზე მცხოვრებ ქურთების მობილიზაციას ახდენს. ინგლისელების მიერ მისყიდული აზმედ-აგა, რომელმაც მიიღო ინგლისელების დახმარება, შეესია სპარსეთს და იქ პარტიზანულ ომს აწარმოებს.

მოკავშირეების ნოტა.

მოსკოვი 4 აპრილი. ანგორიდან იუწყებიან, რომ 31 მარტს საღამოთი იქ მიიღეს მოკავშირეების ნოტა ახალ კონფერენციაზე მოწვევის შესახებ.

ახალი კონფერენცია.

ბერლინი. 4 აპრილი. იუზმა აკისრა ახალი კონფერენციის მოწვევის ინიციატივა ომის დროს საჰაერო ფლოტის და უმავთულო ტელეგრაფის გამოყენების შესახებ კონფერენციის დასადებათ.

იტალია

ფაშისტური პროფკავშირების დაშლა

მოსკოვი. 4 აპრ. იტალიის ფაშისტურ პროფკავშირებში უკმაყოფილება იზრდება. ფაშისტურმა პროფკავშირებმა ტურინში გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია მწარმოებლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გვერდი აუარონ რვა საათის სამუშაო დღის შესახებ გამოცემულ კანონს და შრომის ხელფასის შემცირებით გაადიდონ სამუშაო დღე. ტრიესტში, მონფალკონეს ქარხანაში ფაშისტურმა პროფკავშირმა გაფიცვა გამოაცხადა 25 მუშის დათხოვნის გამო, რომლებიც ორ ლირაზე მეტს იღებენ საათში და მათ მაგიერ დაკლებულ ხელფასში 60 ახალი მუშის მიღების გამო. გაფიცულ მუშებს შეუერთდენ კანტორის მოხელეები.

ორ სკამზე ჯდომა არ შეიძლება

მოსკოვი 4 მარტი. რომიდან იუწყებიან, რომ სოციალისტური პარტიის მილანის სექციაში დაიწყო გარჩევა კომპარტიასთან შეერთების საკითხისა. უნიონისტური კომიტეტი (სერატის მომხრეები) მიუთითებენ, რომ შეერთება უნდა იყოს სრულიად გულწრფელი, თითეულმა გარკვევით უნდა განაცხადოს მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ და უდავოთ მიიღონ 21 მუხლი და აგრეთვე კომინტერნის მეოთხე კონგრესის დადგენილებები. იტალიაში არ არის პირობები დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის არსებობისათვის და სოციალისტებისათვის არსებობს მხოლოდ ორი გზა—ან რეფორმისტებთან ან რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ყოფნა. სოციალისტური თავდაცვის კომიტეტი (ველას მომხრეები) თანახმა არის მიიღოს კომინტერნის 21 მუხლი, მაგრამ უარს ამბობს მეორე კონგრესის ახალ 14 მუხლის მიღებაზე. აქედან ნათელია, რომ ველას მომხრეები ვერ ბედავენ კომინტერნის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას..

ინგლისში

ხმები ბონარ-ლოუს გადადგომის შესახებ.

მოსკოვი. 4 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა ხმა ახლო ხანში ინგლისის პრემიერის ბონარ-ლოუს გადადგომის შესახებ. მის ადგილზე ასახელებენ კონსერვატორ ბალდვინს, ხაზინის ახლანდელ ლორდ-კანცლერს.

სასოფლო მეურნეობის მუშათა გაფიცვა.

მოსკოვი. 4 აპრილი. ხელფასის შემცირების გამო ნორფოლკში გაიფიცა სასოფლო მეურნეობის 20 ათასი მუშა.

ბრძნული გადაწყვეტილება

ლონდონი. 4 აპრ. გაზ. „ტაიმსის" ცნობით, ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კრებაზე შეტანილ იქნა რეზოლიუცია პარტიის ლიდერების მეფესთან ყოფნის გამო. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პარტიის წევრებს—თემთა პალატის წევრებს არ შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ მოღვაწეთა სტუმართ-მოყვარეობით. რეზოლიუციაში შეტანილ იქნა შესწორება, რომ მეფე არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ, რის შემდეგ იგი იქნა მიღებული 93 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 90 სა.

შეტაკება შტრეიკბრეხერებთან.

პარიზი. 4 აპრილი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ აბერდინში 3,000 გაფიცულ მეთევზეებს შეტაკება ჰქონდათ შტრეიკბრეხერებთან.

ლორდ კერზონის გამგზავრება.

პარიზი. 4 აპრილი. ლორდ კერზონი, რომელიც გაემგზავრა ტურში სამკურნალოდ, ჩავიდა პარიზში.

ბონარ-ლოუს მოსალოდნელი გადადგომა

ბერლინი. 4 აპრილი. რადგან ბონარ ლოუს ჯანმრთელობა უარესდება, კონსერვატორები ითვალისწინებენ რა მის გადადგომის შესაძლებლობას, ასახელებენ მის მემკვიდრეთ ხაზინის ლორდ-კანცლერს ბალდვინს.

რუმინეთი

ვალიუტის კატასტროფა

მოსკოვი 4 აპრ. უნგრეთის კრონის კურსი ერთი კვირის განმავლობაში 50 პროც. დაეცა. ეს გარემოება მეტად ცუდათ მოქმედობს უნგრეთის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე. მთავრობა უძლურია ამ უბედურებასთან ბრძოლაში. მოლაპარაკება უცხოეთიდან სესხის მიღების შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. სურსათის საზღვარგარეთ გაზიდვამ გამოიწვია სახელმწიფოს შიგნით სანოვაგეზე ფასების ზღაპრულათ ზრდამ და არავითარი შედეგები არ მოიტანა სახელმწიფოში უცხოეთის ვალიუტის დაგროვების საქმისათვის. მინისტრ-პრეზიდენტმა ბეთლენმა განაცხადა, რომ მთავრობას არ შეუძლია ებრძოლოს კრონის კურსის დაცემას, სანამ უნგრეთის რეპარაციების საკითხი არ გამოირკვევა.

მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან

მოსკოვი. 4 აპრილ. „ნეიე ფრეიე პრესსეს" ცნობით ახლო მომავალში მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და უნგრეთის შორის. ირკვევა საკითხი უნგრეთის მონაწილეობის შესახებ რუსეთის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

სახალხო ბანკის სამმართველო

ქართული ბონების გაუქმების გამო
აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილიდან
ქართული ბონების გაუქმების გამო

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკის ვალდებულებანი

გადაიცვლებიან შემდეგში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.

(299 2—1)

სახალხო ბანკის სამმართველო.

მენშევიკების განცხადება

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ხევის თემის მენშევიკური ორგანიზაციის წევრები მთელი მუშათა კლასის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ მენშევიკურმა პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა უკვე გაყიდეს მუშათა კლასის ინტერესები—ისინი დაუკავშირდნენ მსოფლიო ბურჟუაზიას და მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ მუშაობენ.

მენშევიკები თავის ბატონობის დროს სდევნიდენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველს კომუნისტურ პარტიას და სრულ კანტაქტში და კავშირში იყვნენ მეფის გენერლებთან. საქართველში საბჭოთა ხელის უფლების გამოცხადების შემდეგ ისინი დაუკავშირდნენ როგორც მსოფლიო ბურჟუაზიას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ბანდიტებს—ჩოლოყაშვილს, მათითაიშვილს, მანწკავას და სხვებს და მათი დახმარებით სურთ ჩამოაგდონ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მთავრობა. ამიტომ ჩვენ დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკური პარტიიდან და ზიზღს ვუცხადებთ მათ მოქმედებას.

1. კორომზინაძე ალექსანდრე კონსტანტ.	პარტ. წევრი	1910 წ.
2. კეკელიძე კოლია ლევანტისძე	„	1917 წ.
3. ელიეშვილი ვარლამ ერმილესძე	„	1917 წ.
4. ჟღენტი მაქსიმენ დავითისძე	„	1903 წ.
5. ანთიძე ონიფანტე სილიბისტროსძე	„	1918 წ.
6. მამალაძე სიმონ ლუკასძე	„	1919 წ.
7. ანთიძე მელქისე სოლომონისძე	„	1918 წ.
8. ჟღენტი ტიტიკო კაციასძე	„	1918 წ.
9. ელიაშვილი შალვა კარპეზასძე	„	1918 წ.
10. კეკელიძე ზაქრო ლევანტისძე	„	1921 წ.
11. მამალაძე ბესარიონ ტერზემატისძე	„	1918 წ.
12. ჟღენტი ლადიკო გლახუნისძე	„	1904 წ.
13 კიწმარიშვილი იორდანე ბასილასძე	„	1905 წ.
14 ანთიძე ოლიფანტე სიმონისძე	„	1917 წ.
15. მამალაძე სარდიონ ენუქისძე	„	1903 წ.
16. ელიეშვილი ნიტიფო ერმალოსძე	„	1919 წ.
17. ანთიძე პროკოპი კონსტანტინესძე	„	1919 წ.
18. თოდრაძე ფარნაოზ იორდანესძე	„	1919 წ.
19. ანთიძე ზაქრო ბეჟუკისძე	„	1920 წ.
20. მამალაძე სამსონ ამბაკოსძე	„	1903 წ.
21. ანთიძე პლატონ გიორგისძე	„	1902 წ.
22. ჟღენტი არსენ ივანესძე	„	1903 წ.
23. უჯმაჯურიძე ნოე ეროდესძე	„	1904 წ.
24. უჯმაჯურიძე ტიფო ამბაკოსძე	„	1918 წ.
25. მამალაძე გერმანე ლევარსისძე	„	1916 წ.
26. ანთიძე ვანიჩკა კოწიასძე	„	1917 წ.
27. თედორაძე აქსენტი ლევანისძე	„	1904 წ.
28. მამალაძე აკაკი ალექსანდრესძე	„	1918 წ.
29. მამალაძე ტერზემიტე ბებურისძე	„	1914 წ.
30. ანთიძე ბესარიონ ერმილოზისძე	„	1917 წ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი:

1902 წლიდან ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1905 წ. მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გადასახლებული ვიქენი შორეულ ციმბირში, საიდანაც დავბრუნდი 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ. საქართველოს გასაბჭოებამდე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, რადგან ვფიქრობდი, რომ ეს პარტია იყო მუშათა ინტერესების დამცველი; მე მშრომელი ვარ და მთელი ჩემი შესაძლებლობით ვილტვი თანამოძმეთა ინტერესების დაცვისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის მოღვაწეობა სრულიად დამარწმუნა, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა მშრომელი ხალხის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი; ამიტომ ამიერიდან მთელი ჩემი ენერგიით, უნარით და შესაძლებლობით ვეცდები ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელი ხალხის სრულ გამარჯვების საქმეში.

დიმიტრი ქიშვარდის-ძე გოგიტიძე.

გთხოვთ ეს განცხადება მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

მე ვიმყოფებოდი 1905 წლიდან მენშევიკურ პარტიაში, მაგრამ ამ ორი წლის დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მუშათა ნამდვილი დამცველი პარტია არის მხოლოთ კომუნისტური პარტია. ამისთვის ხელს შეუწყობ კომუნისტურ პარტიას, რამდენადაც ჩემთვის ეს შესაძლებელი იქნება.

იოსებ საბაშვილი.

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგ განცხადებას:

თუმცა საქართველოს გასაბჭოების დღიდან არავითარი საწინააღმდეგო მოქმედება არ მიმიძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მე მაინც ვალდებულათ ვრაცხ თავს პრესის საშუალებით ვაღიარო რომ მე, ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრი, ვწყვეტ სამუდამოთ მენშევიკურ ორგანიზაციასთან ყოველივე კავშირს. მასთან ერთათ ვაღიარებ, რომ შეძლებისდაგვარათ როგორც სიტყვით, ისე საქმით დავიცავ საბჭოთა ხელისუფლებას.

ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრი: **სიმონ რამიშვილი.**

29 მარტ 1923 წ.
საჭამიასერი, ოზურგეთის მაზრა.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ განცხადებას:

მე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან. დღეს ჩემი პოლიტიკური შეხედულება შეიცვალა, რის გამოც ვტოვებ მას და დღეის რიცხვიდან მზათა ვარ ჩემი შეძლებისადაგვარად ხელი შეუწყო არსებულ საბჭოთა მთავრობას.

ბესარიონ ახალაია.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ გაზ. „კომუნისტში“ შემდეგი:

მე, ამ განცხადების ხელის მომწერი, 1921 წლამდე ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, დავანებე პარტიულ მუშაობას თავი და ვდგევარ ყოველივე პარტიის გარეშე, მხარს ვუჭერ არსებულ ხელისუფლებას.

სანდრო სადრაძე.

29 მარტი 1923 წ.
ს. ნატანები.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამომაცხადებინოთ შემდეგი:

1908 წლიდგან ვიდრე 1921 წლამდე მე ვუთანაგრძნობდი ს. დემოკრატიულ პარტიას. ამ დროს განმავლობაში ვაკვირდებოდი პარტიის მუშაობას და უნდა ავღნიშნო, რომ მის მუშაობაში იყო დეფექტები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს საზარალო დარჩნენ მუშათა კლასისთვის. მუშათა კლასის ინტერესები ხშირათ იჩრდილებოდა, პარტიულ კინკლაობას უფრო მეტი ადგილი ეჭირა აღმშენებლობაზე. დღეს გადატრიალების შემდეგ იწყება ძველი ნაშთების ძირიან ფესვიანათ ამოფხვრა და ახალის შენება. ჩვენი ცხოვრების აღმშენებლობაში, რამდენათაც მე ვკვირდები, ბევრი რამ კეთდება. მაგალითად, სწავლა განათლების საქმე, ახალი სკოლების აგება, გზების და ხიდების გაკეთება, გლეხების მიწით დაკმაყოფილება და პარტიის მაგარი და მკაცრი დისციპლინა. ამიტომ ვტოვებ ს. დემოკრატიულ პარტიას და სიტყვით და საქმით, როგორც მოქალაქე როგორც მიწის მუშა გლეხი, მე ხელს შეუწყობ საბჭოთა მთავრობის ყოველ ნაბიჯს.

თომა კავილაძე.

30 მარტ 1923 წ.
შორაპნის მაზრა, ს. ლახუნდარა.

გაზეთ კომუნისტის რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ჩემი განცხადება: მე ვმუშაობდი ყოფილ მენშევიკურ პარტიაში 1905 წლიდან 1919 წლამდე. როგორც მიწის მუშა არ ვიყავი საკმაოთ გარკვეული სხვა და სხვა პარტიების პრაგრამებში. დღეს, როგორც დამანახვა კომუნისტურ პარტიის მუშაობამ, დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია არ ყოფილა მუშათა კლასის და მისი ინტერესების დამცველი, უფრო კი ის იცავდა მემამულეებს და კაპიტალისტებს. ეს იქიდგანაც სჩანს, რომ გაქცეულები საზღვარ გარეთიდან სცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა რესპუბლიკებს. ამიტომ მე დღეიდან ვაცხადებ ყველა მუშებისა და გლეხების საყურადღებოთ: არავითარი თანაგრძნობა ყოფილ მენშევიკურ პარტიას და დღეიდან ხელს შეუწყობ საბჭოთა ხელისუფლებას, რადგანაც დავრწმუნდი, რომ ის არის მუშათა კლასის ინტერესების დამცველი.

იასონ ოქროპირისძე ტყემალაძე

სოციალისტ-ფედერალისტების განცხადება

ამხ. რედაქტორო!

ჩვენ ვირიცხებოდით საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრებათ ამ პარტიამ თავის მუშაობით ვერ დაიმსახურა მშრომელი ხალხის თანაგრძნობა. პარტიაში დაიბადა უთანხმოება და 1921 წელში მას გამოეყო მემარცხენე ფრთა, რომელიც დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობს. ამის შემდეგ სოც.-ფედერალისტთა პარტია ვერავითარ კავშირს ვეღარ აბამს მშრომელ ხალხთან და ბუნებრივათ ჰქრება.

საქართველოს გასაბჭოებამდი ამიერ-კავკასიაში მოქმედ სხვადასხვა შოვინისტურ პარტიების შეურიგებელ პოლიტიკის და ჯიუტობის შედეგი იყო მეზობელ ერებთან ომები. ამ შემთხვევაში სოციალ-ფედერალისტებმა ვერ მოახერხეს გამოენახათ საერთო ენა, რომ თავიდან აეცილებინათ სისხლის ღვრა, პირიქით მათ ამ ომებში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. ორი წლის საბჭოთა ხელისუფლების არსებობამ აშკარათ დაგვანახა, რომ ის არის მშრომელ ხალხთა ინტერესების დამცველი. მან შესძლო უმტკივნეულოდ განეხორციელებია კავშირი მეზობელ ერებთან.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გამოვდივართ სოც.-ფედ. პარტიიდან სამუდამოთ და ვსდგებით ყოფილივე პარტიის გარეშე. ვგმობთ რა ყოველივე ცდას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულს, მოვალეთ ვრაცხთ თავს დავეხმაროთ მას მის აღმშენებლობითი მუშაობაში და არსებული რეჟიმის გამტკიცებაში.

უკლება ნიკოლოზ 1918 წლიდან (1912 წლიდან თანამგრძნობი) **კახნიაშვილი** ი. 1918 წ. **ჯანელიძე** ივანე. **იშხნელი** დავით 1917 წლ. **ბიჭაძე** გიორგი 1917 წლ. **მზარეულიშვილი** ლადო 1917 წ **კახრაძე** ალ. 1906 წ. **კაპანაძე** ირ. 1917 წლიდ ნ.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთის უტიფარი მოთხოვნილება უარყოფილია.

მოსკოვი 4 აპრილი ცეპლიაკზე გამოტანილ განაჩენის შესახებ პოლონეთის პრემიერის სიკორსკის განცხადების გამო საგარეო საქმეთა სახ ლხ. კომისარმა მინდო რ. ს. ფ. ს. რ—ის სრულუფლებიან წარმომადგენელს პოლონეთში ამხ. ობოლენსკის გადასცეს პოლონეთის მთავრობას ნოტა, რომელშიდაც რუსეთის მთავრობა აღნიშნავს წინააღმდეგობას. სიკორსკის უკანასკნელ განცხადებისა და პოლონეთის მთავრობის წინანდელ განცხადებებს შორის, სადაც არა ერთხელ არწმუნებოდა, რომ ის მშვიდობიანობის მოყვარული არის. ნოტა აღნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის ცდა, რომელსაც თან ახლავს მუქარა და ჯერ არ გაგონილი შეურაცყოფა რუსეთის მთავრობის მიმართ, წარმოადგენს უეჭველათ მტრულათ განწყობილ აქტს და აშკარავებს აგრესიულ პოლიტიკას რუსეთის წინააღმდეგ. არ სთვლის რა საჭიროთ განიხილოს ეს დაუშვებელი გამოსვლები, რუსეთის მთავრობა უარყოფს პოლონეთის მთავრობის სურვილს, ითამაშოს რუსეთში მფარველის როლი რუსეთის ამ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც პოლონური შთამომავლობის არიან და მოაგონებს პოლონეთის მთავრობას, რომ პოლონეთში სცხოვრობს დაახლოვებით 10 მილ. უკრაინელები და ბელორუსები, რომლებიც მოკლებული არიან ელემენტარულ ნაციონალურ უფლებებს. საბჭოთა მთავრობა კატეგორიულათ უარყოფს იმ ფაქტს, ვითომც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები უებნებოდნენ პოლონეთის ელჩს მოსკოვში, რომ ცეპლიაკის პროცესს აქვს წმინდა-ფორმალური მნიშვნელობა და აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა უსაფუძვლო ბრალდებებისათვის, რომლებიც მიმართულია რუსეთის სასამართლოსა და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ სავსებით დააწვება პოლონეთის მთავრობას.

ბუტკევიჩზე გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

მოსკოვი. 4 აპრილი. 3 მარტს სისრულეში მოყვანილ იქმნა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს განაჩენი ქსენდზ ბუტკევიჩზე, რომელსაც მისჯილი ქონდა დახვრეტა და რომლის შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქების შესახებ უარყოფილ იქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალმასკომის პრეზიდიუმის მიერ.

პოლონეთის მუშები ესალმებიან ქსენძებზე გამოტანილ განაჩენს.

მოსკოვი 4 აპრილი. ხარკოვში შესდგა უპარტიო პოლონელ მუშათა მრავალ რიცხოვანი კრება, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც კიცხავენ ცეპლიაკისა და ბუტკევიჩის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას. მუშები მკაცრ პროტესტს აცხადებენ პოლონეთის ბურჟუაზიის ცდის წინააღმდეგ მოახდინოს ზეგავლენა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოზე, რომელიც სამართლიანათ სჯის კონტრ-რევოლიუციონერებს ანაფორებში.

სხვადასხვა ამბები

ერთა ლიგა

ბერლინი. 4 აპრილი. რომიდან მიღებული ცნობებით, ერთა ლიგის საბჭოს სხდომა გადაიდო 16 აპრილისათვის. ის განიხილება ინგლისის წარმომადგენელის ედვარ ვუდის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში დასმული არის საკითხები განიარაღების და ავსტრიის აღდგენის შესახებ.

საფრანგეთი

ჯარში სამსახურის ახალი ვადები.

მოსკოვი 4 აპრილი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო ახალი კანონპროექტი, რომელიც აწესებს ჯარში სამსახურის 18 თვის ვადას.

ავსტრია

შტირიის ნახშირის მუშების გაფიცვა

მოსკოვი. 4 აპრ. ორი მეთაურის სამსახურიდან დათხოვნის გამო შტირიის ქვანახშირის მაღაროების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვა უკვე დაიწყო და უსათუოდ მეტად ცუდ გავლენას იქონიებს ავსტრიის მრეწველობაზე, რომელმაც რურის ოკუპაციის შემდეგ მეტად ბევრი დაკვეთა მიიღო.

ესტონეთი

მუშათა ორგანიზაციების დევნა.

მოსკოვი. 4 აპრილი. რეველში დაიხურა მუშათა გაზეთი „ტელინსი“, რომელმაც გამოაქვეყნა ესტონეთის კომუნისტის კრეუქსის მოკვლის ვრცელი ცნობები. ყველა გაზეთები ამტკიცებენ, რომ კრეუქსზე თავდასხმა მოხდა მოულოდნელად და პოლიციამ იცოდა ის რაიონი, რომელშიაც უნდა გაევლო კრეუქს! საინტერესოა აღნიშნოს, რომ ბურჟუაზიული გაზეთები დიდი ხანია ამზადებდენ საზოგადოებრივ აზრს, რომ საჭიროა მუშათა ორგანიზაციების დარბევა მუშათა დელეგაციის შეკითხვაზე მუშათა დაპატიმრების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა რომ ვერ ხედავს არჩევნების თავისუფლების დარღვევას იმაში, რომ დააპატიმრეს კომუნისტები ანბელდი და კრეუქსი.

ჩინეთი

იაპონიის საწინააღმდეგო მოძრაობა.

მოსკოვი. 4 აპრილი. ჩინეთში იზრდება მოძრაობა პორტ არტურის და შორეულ ჩინეთის დასაბრუნებლად. მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციებისა ბოიკოტს უცხადებენ იაპონიის საქონელს.

აშინებენ რუსეთით.

მოსკოვი. 4 აპრილი. იაპონიის გაზეთი „ოსაკა“ ამტკიცებს, რომ თუ ჩინეთმა განაგრძო კამპანია იაპონიის წინააღმდეგ, მაშინ იაპონია შეუთანხმებს თავის მოქმედებას რუსეთს. უკეთებს რა კომენტარიებს ამ ცნობას ამერიკული გაზეთი „ნორდჩაინ“ აცხადებს, რომ რუსეთი არასოდეს არ დაუბრუნდება რომანოვების პოლიტიკის ტრადიციებს. ადვილი შესაძლებელია. რომ რუსეთსა და იაპონიის შორის დამყარდება მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ უაზრობად ითვლება ის განცხადება, რომ საბჭოთა რუსეთი შეუერთდება იაპონიის აგრესიულ პოლიტიკას ჩინეთის წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკია.

თეთრგვარდიელები ჩეხო-სლოვაკიის არმიაში.

მოსკოვი. 4 აპრილი. გაზეთი „ცაუკუნფტის“ ცნობით, პრაგაში იმყოფებიან ვრანგელის მრავალი აფიცრები, რომელნიც გადასახლებულნი არიან ბულგარეთიდან პოლიტიკური გამოსვლებისათვის. ჩეხიის მთავრობა ძალიან დიდი ყურადღებით ეპყრობა ამ „ემიგრანტებს“ და პირდება მიიღოს ისინი ჩეხიის არმიაში.

გერმანია.

კაპიტალისტების და მემამულეების გულის მოსაგებად

მოსკოვი. 4 აპრილი. გერმანიის რეიხსტაგში შეტანილია წინადადება ახალი კანონის დაწესების შესახებ, რომელიც დაიცავს აგრარიების ინტერესებს. აგრეთვე შეტანილია წინადადება საგარეო ვაჭრობაზე და გასატან ბაჟებზე კანტროლის გაუქმების შესახებ, რაც ძალიან ხელსაყრელია მსხვილი კაპიტალისტებისათვის. შეტანილ წინადადებას ხორბლეულის ბეგარის კანონის გაუქმების შესახებ მხარს უჭერს სასურსათო მინისტრი ლიუტერი.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

პარიზი. 4 აპრილი. ვენაში მოხდა შეტაკება სოციალისტების (40 კაცის რაოდენობით) და ნაციონალისტების (30 კაცის შემადგენლობით) ჯგუფებს შორის. არიან დაჭრილები.

იტალია და ავსტრია.

იტალია-ავსტრიის შორის სავაჭრო შეთანხმების შესაძლებლობა.

ბერლინი. 4 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატის“ სპეციალურ კორესპონდენტთან საუბრის დროს, ავსტრიის კანცლერმა სეიპელმა განაცხადა, რომ ის ძლიერ კმაყოფილია იტალიის მეფესთან, მუსოლინთან და პაპასთან სათბირით და რომ იტალიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება ეხლა სავსებით უზრუნველყოფილია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია.

მოსკოვი. 2 აპრილი. რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ც. კ თან იკრიბება უცხოელ ამხანაგ—ემიგრანტების ჯგუფები პროვინციელ მუშებისათვის ბურჟუაზიულ ქვეყნების საპყრობილეებში მჯდომ პოლიტიკურ ტუსაღების მდგომარეობასთან გასაცნობათ. ერთი ჯგუფი უკვე გაემგზავრა ვიატკაში. ვიატკის მუშებმა დაადგინეს გაუგზავნონ ყოველთვიურათ ტუსაღებს 15.000 მანეთი.

პირველ მაისის ლოზუნგები.

მოსკოვი. 2 აპრილი. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტი წინადადებას იძლევა პირველ მაისის ძირითად ლოზუნგებათ წამოყენებულ იქნეს: ბრძოლა მსოფლიო კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და მრეწველობის ორგანიზაცია

სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მოსკოვი. 2 აპრილი. სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან ერთად გამართული იქნება მთელი რიგი კონფერენციებისა სოფლის მეურნეობის საკითხების განსახილველათ.

არმიისა და სოფლის კავშირი.

მოსკოვი. 2 აპრილი. სამარაში მე 98 პოლკმა, რომელმაც მიიღო შეფობა სოფელ პრეობრაჟენსკაიაზე. ორი თვის განმავლობაში მოაწყო სკოლა და სამკითხველო 120 ბავშვისათვის, წიგნებითა და გაზეთებით აავსო ის და სალექციო აუდიტორია გამართა.

შრომის ექსპლოატაცია მონასტრებში.

მოსკოვი. 2 აპრილი. „მიხაილოვის“ მონასტერში მუშა მონაზონთა შრომის აღმაშფოთებელ ექსპლოატაციის აღმოჩენის გამო, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა მონასტრის შენობა სახალხო განათლების განყოფილებას გადასცეს ბავშვთა თავშესაფარის გასამართავათ და მონასტრის ჯანსაღი ელემენტი საიჯარო მიწებზე გადაასახლოს.

საკონცესიო ხელშეკრულება.

მოსკოვი. 2 აპრილი. სახ. კომ. საბჭოში შემოტანილია პროექტი საკონცესიო ხელშეკრულებისა ინგლისურ ფირმა „გუნდზონბრი“-სთან. რომელიც თავის თავზე იღებს კამჩატკისა და ჩუკოტის ნახევარ—კუნძულში ფართე მოხმარების საგნების შეტანას, რის სამაგიეროთ მას ეძლევა ბეწვეულის შეკრების უფლება. ბეწვეულის რეალიზაციიდან გამოტანილი წმინდა მოგების ნახევარი შორეულ აღმოსავლეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს ეძლევა.

რ. კ. პ. მოსკოვის საგუბერნიო პარტ-კონფერენცია

მოსკოვი. 4 აპრილი. მოსკოვის გუბერნიის პარტიული კონფერენციის 3 აპრილის სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია საგადასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად. რეზოლიუცია საჭიროთ სთვლის გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შესცვალოს მრავალრიცხოვანი გადასახადები სასოფლო სამეურნეო ერთიან გადასახადით. გარდა ამისა რეზოლიუცია საჭიროთ სთვლის გამოანგარიშებულ იქნას გადასახადი ჭვავის ერთეულებში და აგრეთვე ნებადართულ იქნას მოსკოვის გუბერნიაში ფულით და ნატურით დაბეგვრა, ხოლო წინ და წინ დაწესებული უნდა იყოს ერთიან სასოფლო-მეურნეობის გადასახადის გადახდის ვადა.

გადასახადებისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნას ულარიბესი გლეხები, რომლებსაც მიცემული აქვთ თითო სულზე დესეტინის მეოთხედი. გადასინჯულ უნდა იქნას გადამხდელთა კატეგორიებად დაყოფა, რათა გამომუშავებულ იქნას უფრო სწორი პროგრესია მეურნეობის სხვადასხვა კატეგორიების დაბეგვრაში.

კონფერენციის დახურვის წინ სიტყვით გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც აღნიშნა, რომ მომავალი პარტიული ყრილობა იქნება პირველი, რომელიც ჩატარდება ვლადიმერ ილიიჩის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ უკანასკნელი სტატიებით ვლადიმირ ილიიჩმა გაუწია ყრილობას უდიდესი დახმარება, აღნიშნა რა, ის ძირითადი საფუძვლები, რომელთა გარშემო ყრილობის დროს ერთიანდება მთელი პარტია. მოსკოვის კონფერენციამ უჩვენა ყველა სულმდა. ბალთ, რომ პარტია ერთიანია და მტკიცე. ამასვე დაადასტურებს სრულიად რუსეთის ყრილობაც. მომავალში ჩვენ გვჭირია დიდი მუშაობა, რათა ენერგიულათ შეუდგეთ ჩვენი მეურნეობის აღდგენა-განმტკიცებას. მთელ რუსეთში ჩატარებულმა საგუბერნიო კონფერენციებმა ნათელყო, რომ პარტია მომწიფებულია ამ ამოცანის გადასაჭრელათ.

უცხოეთის ცხოვრება

საფრანგეთი

საფრანგეთი აგროვებს შტრეიკბრეხერებს რურის ოლქისათვის

საფრანგეთის მთავრობამ დაგზავნა სხვა და სხვა ქვეყნებში თავისი აგენტები სამთომადნო მუშების შესაკრებად და რურის ოლქში გასაგზავნად. ამას წინად ფრანგების მიერ ოკუპაციით დაკავებულ ოლქში გაიგზავნა პოლონელ, ჩეხის, უნგრეთის და სერბიის სამთომადნო მუშების დიდი ეშელონები ამის გამო ამსტერდამის ინტერნაციონალმა მიმართა სათანადო შეკითხვით ნაციონალურ პროფკავშირებს. გერმანულ ავსტრიიდან ამსტერდამის ინტერნაციონალს აცნობეს, რომ საფრანგეთის აგენტებმა შეკრიბეს მუშათა ჯგუფები ვითომდა საფრანგეთში სამუშაოთ; ფაქტიურად კი მუშები გაიგზავნენ ოკუპაციით დაკავებულ ოლქში. იქვე გაიგზავნა სერბიის მუშათა მცირე ეშელონი. გერმანულ ავსტრიის პროფკავშირთა კომიტეტმა აღუთქვა წინააღმდეგობა გაუწიოს შტრეიკბრეხერების შეკრებას ამსტერდამის ინტერნაციონალმა წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს, რათა მათ თავის მხრივ გადასდგან ნაბიჯები საფრანგეთის აგენტების ამგვარ გამოსვლების წინააღმდეგ.

იტალია

შრომის საყოველთაო კონფედერაცია რურის მუშების რურში გაგზავნის წინააღმდეგ

იტალიის მუშების რურში გასაგზავნათ მოგროვების გამო შრომის საყოველთაო კონფედერაციამ იტალიის მუშების მიმართ გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

„სამთო-მადნო წარმოების და ლითონის მუშებო! არ წახვიდეთ რურის ოლქში. საფრანგეთის კაპიტალიზმი ცდილობს მუშათა კლასის დამარცხებას სხვა ქვეყნებში მუშების შეგროვებით, რომ შესცვალოს რურის გაფიცული მუშები.

ყოველდღე მოდის ცნობები, რომ პოლონელი, ჩეხი, უნგრელი და იტალიელი სამთო-მადნო წარმოების მუშები მიემართებიან ფრანგების მიერ დაჭერილ ოლქებისაკენ. ეს ცნობები ნაწილობრივ სიმართლეს არ შეეფერება, რადგან დაინტერესებული ქვეყნების მუშათა ორგანიზაციები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ შტრეიკბრეხერების შეგროვების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა მოიძებნებიან აფერისტები, რომლებიც ცრუ-დაპირებებით ცდილობენ მუშები წაიტყუონ ამხანაგების ღალატის გზაზე.

იტალიელო ემიგრანტებო! არ წამოეგოთ ამ ანკესზე. არ დაუჯეროთ ამ აფერისტების დაპირებებს. ისინი სპეკულიაციას ეწევიან თქვენს სიღარიბეზე და სურთ ჩაგადენინონ ისეთი საქციელი, რომელიც პატიოსან მუშას არ შეეფერება.

იტალიის ემიგრაციის პატიოსანი სახელისთვის, რომელსაც სურს ძმურად და კეთილთანხმობით იცხოვროს იმ ადგილების მოსახლეობასთან, სადაც ის მიემართება, თქვენი მოქალაქისა და მუშის თავმოყვარეობისათვის, უარი სთქვით ამ ფლიდის წინადადებებზე“.

ამერიკა

შეერთებულ შტატების სენატის კომისიამ, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას ნავთის ტრესტის „სტანდარტ ოილ-კომპანი“-ს მოქმედებების შესახებ, დაასრულა თავისი მუშაობა და გამოაქვეყნა გამოძიების შედეგები, კომისია, რომლის სათავეში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ლაფოლეტი იდგა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სტანდარტ-ოილ-კომპანის ამ ჟამათ ხელთ უპყრია ამერიკის მთელი ნავთის მრეწველობა და რომ მდგომარეობა ეხლა ისეთივეა, როგორც 1911 წ., როდესაც ტრესტი მთავრობის გავლენით იძულებული იყო დაყოფილიყო რამოდენიმე სავაჭრო კომპანიებათ. კომისიის აზრით, ტრესტი არღვევს შეერთებულ შტატების ძირითად კანონებს, ვინაიდან ის საკუთარის ნებით აწესებს სახელმწიფოს მთელ სივრცეზე ნავთის, კეროსინისა და გაზოლინის ფასებს. კომისიამ დაასკვნა, რომ ნავთის ტრესტი რომ არ იყოს, ამ საგნების ფასი შეერთებულ შტატებში გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ტრესტი არა თუ აწესებს საბითუმო ფასებს, არამედ კონტროლს უწევს ცალეულ ფასებსაც. გამოძიებამ გამოაშკარავა აგრეთვე ის, რომ ტრესტის მოგება, ამერიკის პირობებშიაც კი გასაოცრათ დიდია. სტანდარტ-ოილ-კომპანიამ, რომლის სათავეში, როგორც ცნობილია, როკფელერი დგას, წარსულ წელს, მაგალითად, 400 პროც.-იანი მოგება გამოიღო.

სენატის კომისია წინადადებას აძლევს მთავრობას ენერგიული ზომები მიიღოს ტრესტის წინააღმდეგ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ საქმის ვითარება ამ დარგში ძველებური დარჩება.

ფერი ფერსა...

ინგლისის მეფის ოჯახის ისტორიაში პირველჯერ მას მოუხდა საპატიო სადილის გამართვა მუშა-დეპუტატის საპატივცემულოთ. საქმე იმაშია, რომ ინგლისში, თანახმათ ჩვეულებისა, ყოველ საპარლამენტო სესიის დასაწყისში მეფე მართავს საზეიმო სადილს ჯერ პრემიერის და შემდეგ კი მისი უდიდებულესობის ოპოზიციის ლიდერის საპატივცემულოთ. ეხლანდელ სესიის წინ მეფეს მოუხდა სტუმრათ მიიღება რამზაი მაკდონალდის—მუშათა პარტიის ლიდერის. სადილის შემდეგ მეფეს და რამზაი მაკდონალდს ხანგრძლივი საუბარი ქონდათ.

მუშათა პარტიის წრეებში „სასახლეში სტუმრობის“ შესახებ გაცხოველებული პოლემიკა გაიმა, რადგან 22-მა შოტლანდიის მუშათა დეპუტატმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ რამზაი მაკდონალდმა მონაწილეობა მიიღო მეფის საზეიმო სადილში, როგორც მუშათა პარტიის მეთაურმა. ეს დეკლარაცია გამოცხადებულია ყოველ კვირეულ ორგანო „ფორვორდ“-ში, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს ჯგუფი არ აპირებს ამა თუ იმ დეპუტატის პირად ცხოვრების კონტროლის გაწევას, მაგრამ პროტესტს აცხადებს სასახლეში ფორმალურ მისვლა მოსვლის წინააღმდეგ. მეორეს მხრით, არისტოკრატიის ზოგიერთ წარმომადგენელთა „ავათმყოფობის“ შესახებ ლაკონიურ ცნობების მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ ისინი არ კადრულობენ მუშათა დეპუტატთან ერთათ ერთ მაგიდასთან ჯდომას.

ტკბილი მოგონებანი ნიკოლოზზე

ინგლისის ყოფილ ელჩმა პეტროგრადში სერ ჯორჯ ბიუკენენმა დაიწყო თავისი მოგონებების ბეჭდვა „რევიუ დე დე მონდ“-ში. პირველ თავში ის მოგვითხრობს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულ იქმნა უკანასკნელ რომანოვის სიცოცხლის გადასარჩენათ. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადასდგა მილიუკოვმა, რომელმაც ბიუკენენის საშუალებით მიმართა ინგლისის მეფეს და ინგლისის მთავრობას, რათა ისინი დახმარებოდნენ რომანოვების რუსეთიდან გაყვანაზე და მიეცათ მათთვის თავშესაფარი ინგლისში. ინგლისის მთავრობამ უპასუხა ამ თხოვნაზე, რომ ის **სიამოვნებით მისცემს თავშესაფარს ტახტიდან გადმოგდებულ მეფეს**, მაგრამ იმ პირობით, თუ ხარჯებს უკანასკნელ ნიკოლოზის და მისი ოჯახის შესანახავათ გასწევს დროებითი მთავრობა. ამაზე მილიუკოვმა პასუხი გასცა, რომ მეფის ოჯახს დაენიშნება საკმაო პენსია, მაგრამ სთხოვდა შეენახა მოლაპარაკების შინაარსი სასტიკ საიდუმლოებაში. სამი დღის შემდეგ მილიუკოვი მივიდა ინგლისის საელჩოში და განაცხადა, რომ ძლიერ ცოტა იმედია იმისი რომ შევძლებთ მეფის ოჯახის რუსეთიდან გაყვანას, პეტროგრადის საბჭოს ენერგიულ წინააღმდეგობის გამო. მილიუკოვმა ამასთანავე დაუმატა, რომ თუ ის შეეცდებოდა ძალით გაეყვანა მეფე, არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ მუშები დაშლიდნენ რკინის გზის ხაზს. შემდეგ ბიუკენენი განაგრძობს, რომ კერენსკის მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოწვეული იყო მხოლოდ სურვილით გადაერჩინათ მეფე სიკვდილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობა

გერმანია

ქუნოს მთავრობა—სამუშაო ხელფასის მომატების წინააღმდეგ.

გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება გერმანიის ვალიუტის დაცემასთან დაკავშირებით სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. მთავრობა აცხადებს, რომ ის ვერ შესძლებს სიძვირესთან ბრძოლას იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალური კავშირები სისტემატიურად წარმოადგენენ მოთხოვნილებას სამუშაო ხელფასის მომატებაზე. ასეთი განცხადება აიხსნება იმით, რომ მთავრობა იმყოფება გერმანიის „სახალხო პარტიის“ და მექარხნეების უშუალო გავლენის ქვეშ. მთავრობის ეს განცხადება, უეჭველია, გამოიწვევს მთელ რიგ კონფლიქტებს, ვინაიდან მუშები, მოსამსახურეები და მოხელეები, რომელთა სამუშაო ხელფასი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში დაეცა ერთი მესამედით, ვერ დაკმაყოფილდებიან არსებული ხელფასით.

თავდაცვის რაზმები.

11 მარტს სამხრეთ-ტიურინგიის პროლეტარულმა თავდაცვის რაზმებმა მოახდინეს საკუთარის ძალების დათვალიერება. რაზმები შემდგარია თითქმის ყველა მსხვილ წარმოებებში. კასელის რკინის გზელთა გერმანულ კავშირის აქტიურ მუშაკთა კრებამ მოსთხოვა პროფკავშირთა ადგილობრივ განყოფილებას, რათა უკანასკნელი შეუდგეს თავდაცვის რაზმების მოწყობას. კომპარტიის საოლქო კომიტეტმა მიმართა პროფკავშირთა ადგილობრივ გაერთიანებას ღია წერილით, რომელშიაც მოითხოვს პროლეტარული რაზმების დაუყონებლივ მოწყობას და ჰპირდება ამ შემთხვევაში პროფკავშირთა გაერთიანების დისციპლინისადმი დამორჩილებას. თუ პროფკავშირები უარს იტყვიან კომპარტიასთან შეთანხმებულად რაზმების მოწყობაზე, უკანასკნელი თვითონ შეუდგება ამ საქმეს. დიუსბურგის რამოდენიმე მაღაროების მუშებმა მოსთხოვეს პროფკავშირებს მთელი ოლქის ფაბრიკა-ქარხნების საბჭოების ყრილობის მოწვევა ყველა მუშური რაზმების გასაერთიანებლათ. თავიანთ რეზოლიუციებში მუშები აცხადებენ, რომ თუ **პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება** (გერმანიის პროფკავშირთა კავშირი) უარს იტყვის პროლეტარული თავდაცვის ხელმძღვანელობაზე, მუშები იძულებული იქნებიან თვითვე გაუძღვენ ამ საქმეს. მრავალ მაღაროების რაზმები კარგად არიან მოწყობილი და დაყოფილი არიან ჯგუფებად, უკანასკნელების ხელმძღვანელთათვის მოწყობილია სპეციალური კურსები.

ბერლინის მუშების მდგომარეობა.

გერმანიის დიდ ქალაქების და კერძოთ ბერლინის მუშების მდგომარეობა თანდათან უარესდება. უმუშევრობა, რომელიც შემოდგომაზე გერმანიაში თითქმის შეუმჩნეველი იყო, უკანასკნელ დროს ფართო ხასიათს ღებულობს. მაგალითად თებერვლის ბოლო რიცხვებში მარტო ბერლინში ითვლებოდა 80,000 უმუშევარი, ხოლო უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეს რიცხვი გაიზარდა 17 ათასით. შრომის სამინისტროს სტატისტიკურ ბიუროს გამოანგარიშებით, ზამთრის დასასრულს უმუშევართა ეს რიცხვი უნდა ავიდეს 300 ათასამდე. ბერლინის მუნიციპალიტეტს არ ძალუძს მოაწყოს უმუშევართათვის საწარმოვო საზოგადოებრივი მუშაობა უმუშევართა ორგანიზაცია მოითხოვს დახმარების 100 პროცენტით გადიდებას, საბინაო ქირიდან განთავისუფლებას და უფასო სადილებს უმუშევართა და მათი ოჯახებისათვის.

უმუშევრობით სარგებლობენ მწარმოებლები და უარს ამბობენ ფასების ზრდასთან შეფარდებით სამუშაო ხელფასის გადიდებაზე; ამავე დროს მათ საბუთად მოჰყავთ მთავრობის უკანასკნელი განცხადება სამუშაო ხელფასის სისტემატიურად გადიდების დაუშვებლობის შესახებ. ამ ნიადაგზე მომწიფდა მთელი რიგი კონფლიქტებისა ლონდონის დამმუშავებელ და ხის დამმუშავებელ სამრეწველოებში და საბითუმო სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეების შორის.

მუშების მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს საბინაო კრიზისი. მაგალითად, თებერვალში ბერლინში უბინოდ დარჩენილთა რიცხვი უდრიდა 100 ათას კაცს. განზრახულია მოახდინონ ბინების რეკვიზიცია და იძულებითი შემჭიდროება.

როგორც იქნა გაიგეს.

მოსკოვი 4 აპრილი. გერმანიის დამოუკიდებლების ყრილობაზე მიიღეს ლიბკნეხტის რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მუშებს გამოიყენონ რურის კონფლიქტი გერმანიის კაპიტალის დასამხობათ.

საფრანგეთი

შეთანხმებლები შლიან მთლიან ფრონტს.

მოსკოვი. 2 აპრილი. შრომის საერთო კონფერენციის ბელადმა მერგეიმ, იმის გამო, რომ საფრანგეთის ფაბრიკა-ქარხნების ყრილობამ მიმართა შრომის საერთო და უნიტარულ კონფერენციას მოიწვიონ საერთო კონფერენცია შრომის ხელფასის გადიდების საკითხის განსახილველათ, განაცხადა, რომ ეს წინადადება არ შეეფერება სინდიკალიზმის ტენდენციებს.

შეტაკება პოლიციასა და კომუნისტებს შორის.

მოსკოვი. 4 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ ქ. რუბეში (ჩრდილო-საფრანგეთშია) პოლიციასა და კომუნისტებს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკების დროს დაიჭრა 32 კაცი.

პოლონეთი

კომპარტიის გავლენა იზრდება.

მოსკოვი. 4 აპრილი. პოლონეთიდან ვინიცაში ჩამოსულები იუწყებიან, რომ პოლონეთის წარმოება დიდ კრიზისს განიცდის, უმუშევრობა იზრდება. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით მთავრობამ გადასწყვიტა 40 000 მუშა გაგზავნოს რურში სამუშაოთ. მცხოვრებლები სულს ღაფავენ გადასახადების სიმძიმის ქვეშ. უკმაყოფილება იზრდება. კომუნისტური პარტიის გავლენა მუშათა წრეებში დღითი-დღე იზრდება.

შვეცია

მუშები იმარჯვებენ.

მოსკოვი. 2 აპრილი. შვეციის ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში გამოცხადებული ლოკაუტი, რომელიც გაგრძელდა ორი თვე, დამთავრდა დამქირავებელთა დამარცხებით. მუშების მოთხოვნილება გასული წლის ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა არ დაუშვიათ აგრეთვე შრომის ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გაგრძელება.

ჩვენი ძალები იზრდებიან.

მოსკოვი 2 მარტი. შვეციის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა და ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს და მუშაკებს დაიწყონ გაზაფხულის კამპანია კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვის გადიდებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის შემადგენლობის გაჯანსაღების მიზნით, ახალ კადრების მიმხრობის და უფროს წევრების კომპარტიის რიგებში გადასვლის გზით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისი

სკოლის საქმე 24 მარტს განათლების განყოფილების ინიციატივით შესდგა მთელი მაზრის ტეხნიკუმების და თემის შრომის სკოლების გამგეთა კონფერენცია. დაესწრო 70 დელეგატი.

ადგილებიდან მოხსენებებით ცხადდება სახალხო განათლების წარმატებითი ზრდა. მეცადინეობა სკოლებში მიმდინარეობს ნორმალურათ; მიმდინარე წელს მეცადინეობის შეჩერება არ ყოფილა. სოფლების სკოლების უმეტესი ნაწილი შეკეთებულია ადგილობრივ პარტიულ მუშაკთა ინიციატივით.

გლეხები განათლების საქმეს ეპყრობიან დიდი ხალისით და სკოლებისათვის არ ზოგვენ არავითარ საშუალებას. შეკეთებულია ყველა სასკოლო შენობა ქუთაისშიც. მიიღეს რა მხედველობაში, რომ ძველი მასწავლებლები გამოსული არიან ძველი სკოლის შემადგენლობიდან და სათანადოთ არ არიან მომზადებული ახალ ტიპის სკოლა-ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლებისათვის, განზრახულია ქუთაისში ზაფხულში გაიხსნას მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. სახალხო განათლების განყოფილება იღებს ყოველგვარ ზომებს მასწავლებელთა პერსონალის უზრუნველ საყოფათ.

აფხაზეთი

აფხაზეთი მოსკოვის გამოფენაზე.

აფხაზეთის გამოფენის კომიტეტმა შეიტანა განცხადება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თავის პავილიონისათვის 250 ოთხ. საჟ. მოედნის დათმობის შესახებ.

„წითელი აფხაზეთი“. ახლო მომავალში სოხუმში აფხაზურ ენაზე გამოვა გაზეთი „წითელი აფხაზეთი“. განზრახულია ჯერჯერობით ყოველ დღე გამოუშვან მხოლოთ 300 ცალი. გაზეთის ამოცანებია — დაეხმაროს აფხაზეთის სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც არ გაეგებათ რუსული ენა. გაზეთის რედაქტორათ დანიშნულია სახალხო გან. კომისარი ამხ. **ჭამბა.** რედაქციას განზრახული აქვს გააბას კავშირი ყველა აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ტომებთან, რომელნიც არ ცხოვრობენ აფხაზეთში ჩრდილოეთ-კავკასიის აბაზინცებთან, ინგუშებთან და აფხაზეთიდან ლტოლვილებთან (ე. წ. მუხაჯირებთან) და აგრეთვე —აჭარის აფხაზებთან.

აზერბეიჯანი

საჰაერო ფლოტისათვის.

ბაქო. 3 აპრილი. საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ შეკრებილი თანხები უკვე საკმაოა ორი საჰაერო აპარატის შესაძენათ. ერთ მათგანს ეწოდება „ბაქოს მუშა“, მეორეს—„ბაქოს სამთო-მადნო წარმოების მუშა“.

შემოწირულების შეკრება გრძელდება.

ტვირთის მზიდველმა მუშებმა, კომუნისტებმა და უპარტიოებმა, რიცხვით 700 კაცმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ მთელი კამპანიის განმავლობაში ჯამაგირიდან საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ ყოველთვიურად გადადვან ჯამაგირის 1 პროცენტი.

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს კომიტეტმა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტროცკის და გაზ. „პრავდის“ რედაქციის სახელზე მოსკოვში გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: ბაქოს კოოპერატიულმა, პროფესიულმა და საბჭოთა ორგანოებმა შემოიტანეს 14.000 ოქროს მანეთი ერთი ჰაეროპლანის შესაძენათ რესპუბლიკის საჰაერო ფლოტის გაძლიერების მიზნით. ხსენებული ორგანიზაციები ითხოვენ ამ აპარატს ეწოდოს „ბაქოს მუშა“.

ამას გარდა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა დაადგინეს შაბათობის, კვირაობის და ხელის მოწერის მოწყობის საშუალებით შეაგროვონ საჭირო თანხა კიდევ ორი ახალი აპარატის შესაძენათ. ბაქოს სამთო-მადნო წარმოების მუშებმა უკვე ჩაატარეს ერთი ასეთი კვირაობა და მთელი შემოსავალი გადადვეს ერთი საჰაერო აპარატის შესაძენათ. ბაქოს მუშები მხურვალეთ გამოეხმაურენ სამხედრო ფლოტის გაძლიერებას, გროვდება თანხები მესამე ახალი საჰაერო აპარატის შესაძენათ.

ბრძოლა კალიასთან.

ბაქო 3 აპრილი. ჩამოვიდა 6 ენტომოლოგი, რომელიც გამოგზავნა რ. ს. ფ. ს. რ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარმა. კალიასთან საბრძოლველათ. ჩამოსულებს დავალებული აქვთ კალიასთან მოწამლული საკვებით ბრძოლის კამპანიის ჩატარება.

მუღანის სამელიორაციო სამმართველოს ჰაეროპლანი.

ბაქო, 3 აპრილი. პირველ აპრილს სამხედრო აეროდრომზე ჩამოეშვა თბილისიდან გამოფრენილი საჰაერო აპარატი „იუნკერსის“ სისტემისა. აპარატით მოფრინდენ შვეციისა და სპარსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის მომწყობი ფირმის წარმომადგენლები. აპარატი შეიძინა მუღანის სამელიორაციო სამმართველომ.

ელექტროფიკაცია. ნუხის სამაზრო აღმასკომი ელექტრო-სადგურის აშენების მიზნით სააქციონერო საზოგადოებას აწყობს.

თურქულ თეატრის 50 წლის თავი.

5 აპრილს ბაქოში იმართება საზეიმო დღესასწაულობა თურქულ თეატრის,—უპირველესის მაჰმადიანურ აღმოსავლეთში,—50 წლის იუბილე საიუბილეო კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში თურქულ თეატრის თვალსაჩინო კულტურულ როლს აზერბეიჯანის მშრომელთა მასსების გამოღვიძების საქმეში, აწესებს საგანგებო რკინის ფონდს თეატრის შემდეგ განვითარების და გაძლიერების მიზნით. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე შეიტანა ამ ფონდში 16.000 მანეთი ოქროთი, აზნავთმა—ამდენივე, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—10 000 მან ოქროთი. აზერბეიჯანის ყველა სამეურნეო ორგანოები მონაწილეობას მიიღებენ ფონდის შექმნაში. საიუბილეო მისალმებანი გადაგზავნილ უნდა იქნენ შემდეგ მისამართით: ა. ს. ს. რ-ის განათლების სახალხო კომ-ატი, საიუბილეო კომიტეტი, ამხ. შახბაზის.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 3 აპრილი. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ სურახანში მიიღეს ნავთი საბურავ № 74-ში. კომპრესორის საშუალებით იღებენ 5.000 ფუთ წმინდა ნავთს დღე-და-ღამეში.

ნავიგაცია.

ბაქო. 3 აპრილი. კასპის ზღვაზე ჩრდილო აღმოსავლეთის ქარიშხალის ამოვარდნის გამო, ნავთით დატვირთული გემები ვეღარ გავიდენ ასტრახანში; ამის გამო ბაქოდან ნავთის პროდუქტების გატანა შემცირებულია.

ელექტროფიკაცია.

ტერტერი. 2 აპრილი. ტერტერში (ქვარახშირის მაზრა) დამთავრდა ელექტრო-სადგურის მოწყობა.

სომხეთი

მღვდლების სასარგებლოთ.

ალექსანდროპოლი. 3 აპრილი. ალექსანდროპოლის რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა სამართალში მისცა სოფ. ტოროსის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მღვდლების სასარგებლოთ გადასახადის აკრეფის გამო.

ო. თუმანიანის ხსოვნისათვის.

ერევანი. 3 აპრილი. სომხეთის სხვა და სხვა მაზრებიდან მოდის ცნობები, რომ იქ იმართება ოვანეს თუმანიანის მოსაგონებელი საღამოები.

მიწის ზომვის მუშაობა.

ვორონცოვკა. 2 აპრილი. ლორის მაზრაში მიწის ზომვის მუშაობა დაიწყო. წინასწარი მუშაობის დასაწყებათ ერევნიდან ჩამოვიდა სამი მიწის მზომელი.

მოსავალი,

კარაკლისი. 2 აპრილი. კარაკლისის მაზრაში გაზაფხულის წვიმების გამო მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი.

ერევანი. 3 აპრილი ცენტროკავშირმა გაუხსნა სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს საქონლის კრედიტი ორი თვის ვადით.

სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა გაგზავნა ტფილისში სპეციალური პირი საქონლის მისაღებად და სომხეთში გადასაგზავნად.

ეკონომიური თათბირის დადგენილების თანახმად, სომხეთში ნავთის პროდუქტის გაყიდვის ინიციატივა ეძლევა მხოლოდ კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს.

სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა გააუქმა განყოფილება ტფილისში, ბათომში და სოხუმში.

მიმდინარე წელში სომხეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი. განაგრძობს თამბაქოს პლანტაციის კულტურის განვითარებას ჩარდახში დათესილი იქნება 20 დესიატინა.

სახალხო სასამართლოებში.

ერევანი. 3 აპრილი. სომხეთის 21 სახალხო სასამართლოს მუშაობა წასულ წელს გამოიხატა შემდეგში. დარჩა 1922 წლის 1 იანვრისათვის 5532 საქმე. შემოვიდა წლის განმავლობაში 18,571, გარჩეული იყო 19, 818, 1923 წ. 1 იანვრისათვის დარჩა—4,285 საქმე. სომხეთის სახალხო სასამართლოების 19 გამომძიებელს 1 იანვარს ჰქონდათ 179 საქმე. 1922 წ. განმავლობაში შემოვიდა 1138 საქმე, დამთავრდა 1,087. წლის დასაწყისში დარჩა გასარჩევად 230 საქმე.

კოოპერაციის კვირეული.

ერევანი. 3 აპრილი. კოოპერაციის კვირეული ტარდება დიდი წარმატებით. ერევანში გაიმართა მიტინგები მეტყავეების, საბჭოთა მუშების და სხვ. პროფკავშირებში.

უმუშევრები.

ერევანი. 3 აპრილი. უმუშევართა კომიტეტმა, რომელიც აწარმოებს უმუშევართა მატერიალური მდგომარეობის გამოკვლევას, გადასწყვიტა დაჰყოს უმუშევრები 4 ჯგუფად და პირველ რიგში მიეცეს სამუშაო უფრო ღარიბებს პირებს.

საკუთარი საშვალებით.

ალავერდი. 3 აპრილი. ალავერდის რაიონის გლეხებმა თავიანთი საშუალებით მოაწყვეს ორი ხიდი.

ოვანეს თუმანიანის ხსოვნას.

ერევანი. 4 აპრილი. გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანი“-ს 3 აპრილის ნომერი მიეძღვნა პოეტ ოვანეს თუმანიანის ხსოვნას.

რკინის გზის ახალი სადგური.

ერევანი. 4 აპრილი. ერევნის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭოს სოფელ დავალუსთან მცირე სადგურის გახსნის შესახებ.

დაშნაკელების ლიკვიდაციის წლის თავი.

ერევანი. 4 აპრილი. 3 აპრილს დაშნაკელების ავანტურის ლიკვიდაციის ორი წლის შესრულების გამო ერევნის სახელმწიფო თეატრში შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც დღის თემაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ოვანისიანი. ერევნის აღმასკომმა გადასცა 30 მილიონი მანეთი №-ს დივიზიონს დაშნაკელების ლიკვიდაციის მეორე წლის შესრულების გამო.

მიწის მოწყობა.

ერევანი. 4 აპრილი. მიწის განყოფილება იმუშავებს პროექტს სანიმუშო მეურნეობათა მოწყობის შესახებ ძვირფას ჯიშის მცენარეთა და ხორბლეულის კულტურის გაუმჯობესებისა და კულტურის მიზნით.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის განყოფილებაში.

ერევანი. 4 აპრილი. ერევნის სამ. მდგ. აქ. რეგ. განყოფილებაში გატარდა მარტის თვეში: დაბადებულთა რიცხვი 205 (უმეტესი ნაწილი— ვაჟები) გარდაცვალებულთა — 61, ქორწინების—18, გაყრის— 5.

არაზდაიანის მამული. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს მიმდინარე წელს ბამბით დათესილი 300 დესიატინა არაზდაიანის მამული.

ტრაქტორები. კამარლიუში გაიგზავნა ერთი ტრაქტორი. უახლოეს ხანში ამიერ-კავკასიის წყლის სამმართველო გაგზავნის კიდევ 4 ტრაქტორს.

სარდარაბადის არხი. დაიწყო კვლევა-ძიება სარდარაბადის მცირე არხის გასაყვანათ.

შირაქის არხი. შირაქის არხის გვირაბი დღემდე გათხრილია 385 საჟენის მანძილზე.

კოოპერაციის კვირეული. კოოპერაციის კვირეული დაიწყო. კავშირებში იმართება მიტინგები, იკითხება ლექციები კოოპერატიული საკითხების შესახებ. კოოპერატივებში წევრთა ჩაწერა წარმატებით მიმდინარეობს.

ოვანეს თუმანიანის ხსოვნას. ქ. ერევნის მწერლებმა და მხატვრებმა მიმართეს მთავრობას თხოვნით გარდაცვალებულ პოეტის ოვანეს თუმანიანის ცხედრის მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვენების შესახებ.

მიწის რეფორმა თელავის მაზრაში

როგორც მოგეხსენებათ 15 მარტს უნდა დამთავრებულიყო მაზრაში მიწების ჩამორთმევა და განაწილება, რათა საგაზაფხულო თესვისთვის და მამულების დამუშავებისათვის ყველა მშრომელს მიეღო საჭირო მიწები და ყოველ მათგანს სცოდნოდა თუ რამდენი მიწა ეკუთვნის მას, როგორც ნორმა მინიმუმი იმ მიწისა, რომელიც იტოვება კანონის მიხედვით, როგორც წინა თვეში, აგრეთვე მარტში განყოფილების მუშაობა სწარმოებდა, დაჩქარებული წესით. მიღებული იქნა ყოველგვარი ზომები, რათა ყოველი ეს, რაც დავალებული აქვთ სოფლის მიწის კომიტეტებს, მიწების ჩამორთმევა დანაწილებაში 15 მარტისთვის დამთავრებულიყო და ყველა ეს ცნობები წარმოედგინათ მიწათ მოქმედების განყოფილებაში, რათა ამ უკანასკნელს გამოეტანა თავისი დასკვნა არსებულ მიწის კანონების მიხედვით და მასთანვე ეცნობებია მიწად მოქმედების კომისარიატისთვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ამ რიგათ 15 მარტამდე სრულებით შესრულებულად უნდა ჩაითვალოს ის დავალება, რომელიც განყოფილებას ჰქონდა ამ დარგში. ამ დროისთვის წარმოდგენილი იქნა ყველა საბუთები სოფლებიდან მუშაობის ჩატარების შესახებ. 15 მარტამდე და დღემდე განყოფილება ყოველივე შემდგარ ოქმის განხილვას და სათანადო რეგისტრაციაში გატარებას აწარმოებდა.

განყოფილების მუშაობაში უნდა აღინიშნოს, აგრეთვე გეგმა მომავალ მოქმედებისათვის. ამ გეგმაში შედის სამი უმთავრესი საკითხი: 1) ყოველი მაზრის სოფლისა ცალკ-ცალკე. მიწებით დაკმაყოფილება, რათა მაზრის თავისუფალი ფონდი რაციონალურად იქნას დანაწილებული სოფლების მიწები. 2) ზოგიერთი სოფლების, რომელნიც აყენებენ ტყის მეურნეობას დიდ ზიანს,—როგორც მაგალითად იყალთოს და ზემოხოდაშნის თემის მოსახლე ფშაველები, ხევსურები და ოსები გადაჯგუფებული იქნას სხვა ადგილებში. 3) ფორმალური მიწის მოწყობა, რაიც მოხდება მიწის მზომელების საშუალებით, რათა ყოველ მაზრის მშრომელ მიწის მუშას მიეცეს მტკიცე საბუთი იმ მიწის შესახებ, რომელიც მას ეძლევა საშვილიშვილოთ დასამუშავებლად, ამ მუშაობის წარმოებას განყოფილება შეუდგება ახლო მომავალში და მათი შესრულების შემდეგ მიწის მოწყობა ყველა მხრით დამთავრებული იქნება თელავის მაზრაში.

განყოფილებამ მიიღო მთელი რიგი ზომების, რათა ჩამორთმეული კულტურული ნაკვეთები თავის დროზე ყოფილიყო გადაცემული საჭიროებისამებრ უმიწაწყლო მშრომელებზე და ამხანაგობებზედ. ზოგი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია, რომელთა დაქუცმაცება დაუკარგავდა მამულს მთლიანობას, გადასცა ამხანაგობას ან და თვითონ განყოფილება შეუდგა მათ დამუშავებას საფონდო ქვე-განყოფილების საშუალებით.

აქვე მოგვყავს სია იმ სოფლებისა, რომლებშიაც მოხდა მიწების ჩამორთმევა და რაოდენობა ჩამორთმეული მიწების.

ზემო ხოდაშენის თემი:				
1) ზემო ხოდაშენი	236 კომლი	453 დეს.	950 კ. ს.	600 ნაკვეთი
2) აწყური				
3) ქისტაური				
4) ახშაანი				
5) ოჟიო				
6) კოლოთო				
7) ალავერდი				
8) ხორხელი				
9) ჩაბინაანი				
იყალთოს თემი:				
1) იყალთო-თალაური	38 კომლი	69 დეს.	970 კ. ს.	60 ნაკვეთი.
2) რუისპირი არტოზანი	28 კომლი	72 დეს	1906 კ. ს.	25 „
3) ყარაალ-ახატელი	25 კომლი	112 დ.	1850 კ. ს.	45 „
ქურდღელაურის თემი:				
1) კურდღელაური	76 კომლი	274 დეს.	1320 კ. ს.	3 „
2) გულგულა	88 კომლი	46 დეს.	1230 კ. ს.	61 „
3) ვარდისუბანი	5 კომლი	10 დეს.	500 კ. ს.	10 „
4) შალაური	7 კომლი	24 დეს.	1200 კ. ს.	10 „
წინანდლის თემი:				
1) კისისხევი	23 კომლი	73 დეს.	862 კ. ს.	10 „
2) კონდოლი	17 კომლი	36 დეს.	1840 კ. ს.	26 „
3) წინანდალი	26 კომლი	50 დეს.	650 კ. ს.	23 „
5) ქვემო ხოდაშენი	8 კომლი	22 დეს.	1920 კ. ს.	2 „
აკურის თემი:				
1) ბუშეტი	6 კომლი	6 დეს.	490 კ. ს.	9 „
2) ვანთა	35 კომლი	10 დეს.	200 კ. ს.	16 „
3) აკურა	34 კომლი	27 დეს.	1625 კ. ს.	60 „
ვაჩნაძიანის თემი:				
1) ვაჩნაძიანი	23 კომლი	41 დეს.	1940 კ. ს.	36 „
2) კალაური	12 კომლი	15 დეს.	1400 კ. ს.	28 „
შაშიანის თემი:				
1) შაშიანი	28 კომლი	42 დეს.	2217 კ. ს.	38 ნაკვეთი.
2) ურიათუბანი	23 კომლი	55 დეს.	217 კ. ს.	33 ნაკვეთი.
ზემო ალვანის თემი:				
1) ზემო ალვანი	43 კომლი	454 დეს.	1750 კ. ს.	128 ნაკვეთი.
ფშაველის თემი:				
1) ბაბანეური	24 კომლი	39 დეს.	600 კ. ს.	51 ნაკვეთი.
2) მაღრაანი	19 კომლი	41 დეს.	600 კ. ს.	54 ნაკვეთი.
3) ლისყური	6 კომლი	16 დეს.	1800 კ. ს.	7 ნაკვეთი.
4) არეხი	7 კომლი	13 დეს.	600 კ. ს.	23 ნაკვეთი.
5) ფშაველი	77 კომლი	180 დეს.	1660 კ. ს.	98 ნაკვეთი.
ნაფარეულის თემი:				
1) ნაფარეული	25 კომლი	121 დეს.	1150 კ. ს.	73 ნაკვეთი.
2) აროჟანა	192 კომლი	81 დეს.	1200 კ. ს.	78 ნაკვეთი.
3) ნიკოლაევკა	10 კომლი	20 დეს.	1200 კ. ს.	21 ნაკვეთი.
ენისელის თემი:				
1) ენისელი	30 კომლი	65 დეს.	740 კ. ს.	39 ნაკვეთი.
2) გრემი	7 კომლი	14 დეს.	1680 კ. ს.	10 ნაკვეთი.
3) ალმატი	8 კომლი	17 დეს.	0000 კ. ს.	10 ნაკვეთი.
4) საბუე	23 კომლი	48 დეს.	1780 კ. ს.	37 ნაკვეთი.
5) ალდგომა	25 კომლი	66 დეს.	589 კ. ს.	55 ნაკვეთი.
შილდის თემი:				
1) შილდა	64 კომლი	146 დეს.	1880 კ. ს.	156 ნაკვეთი.
ყვარლის თემი:				
1) ყვარელი	54 კომლი	218 დეს.	2190 კ. ს.	130 ნაკვეთი.
ახალი გავაზის თემი:				
1) ახალ-გავაზი	47 კომლი	101 დეს.	200 კ. ს.	136 ნაკვეთი.
2) ჰიკაანი	29 კომლი	58 დეს.	600 კ. ს.	68 ნაკვეთი.
3) კუშტანი	19 კომლი	71 დეს.	1400 კ. ს.	95 ნაკვეთი.
ძველი გავაზის თემი:				
1) ძველი გავაზი	54 კომლი	86 დეს.	360 კ. ს.	144 ნაკვეთი.
სულ 47 სოფელი	**1455 კომლი**	**3311 დეს.**	**2120 კ. ს.**	**2272 ნაკვეთი.**

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად

პარტიის ისტორიისათვის

პატივცემულო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა **პარტიის ისტორიის კომისია.** აკუთვნებს რა უდიდეს მნიშვნელობას რევოლიუციონური წარსულის ყოველგვარ მასალათა დაგროვებას, შენახვას და გადამუშავებას, საქ. კომპარტიის ცეკა ჰკისრებს ოლქკომებს და მაზრკომებს დაუყონებლივ დაარსონ საოლქო და სამაზრო ბიუროები პარტიის ისტორიის კომისიისა და გამოჰყონ შესაფერი ძალები ამ დარგში სამუშაოდ.

ყველა ზემოხსენებულისათვის უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებით:

1. პარტიის ისტორიის ბიურო არსდება პარტკომთან.

2. საქმის განსაცხოველებლად და მუშაობისათვის ახლო ხელმძღვანელობის გასაწევათ კომისიის ბიურო აგზავნის გამოცდილ ამხანაგებს, რომელთაც აქვთ სურვილი და შეუძლიათ მუდმივი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში, პარტიის ისტორიის ბიუროს საშუალებით.

3 ბიუროს შემადგენლობაში უნდა შევიდეს პარტკომის ერთ-ერთი წევრი.

4. ბიუროს წევრებს აღნიშნულ მუშაობისათვის არავითარი ჯილდო არ მიეცემათ.

5. ბიუროს წევრებს ამტკიცებს ადგილობრივი პარტკომი და აცნობებს ამის შესახებ ცეკას პარტიის ისტორიის კომისიას.

6. ყველა ორგანიზაციების ადგილობრივი ბიუროები მუშაობენ ცეკას პარტიის ისტორიის კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ და აწარმოებენ მასთან მიწერ-მოწერას უშუალოდ.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **მიხ. კახიანი.**

საქ. კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისიის მდივანი **ს. თალაკვაძე.**

P. S. ეს ცირკულიარი ვრცელდება შემდეგ პარტკომებზე: ბათომი, ქუთაისი, ოზურგეთი, ფოთი, სოხუმი, გორი, შორაპანი, სენაკი, დუშეთი და რაჭა.

პარტიის ყველა წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია აპირებს გამოსცეს 1917 წ. დაღუპულ ძველ რევოლიუციონერების მოკლე ბიოგრაფიების კრებულ: „პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა ალბომი“, სადაც მოთავსებული იქნება აგრეთვე მათი სურათებიც ამ მებრძოლების არა სრული სია ჩვენ უკვე გვქონდა გამოცხადებული გაზ. „კომუნისტსა“ და „მუშაში“. მასთან მკითხველებს ვთხოვდით მოეწოდებიათ დამატებითი ცნობები ამ ამხანაგების შესახებ.

განმეორებით კიდევ ხელახლა გთხოვთ ყველა ამხანაგს მოგვაწოდონ როგორც დამატებითი მასალები იმ ამხანაგების ბიოგრაფიებისათვის, რომლების სიაც უკვე გამოქვეყნებული იყო, ისე ბიოგრაფიული ცნობები იმ ამხანაგების შესახებაც, რომლებიც აგრეთვე 1917 წლამდე დაიღუპენ, მაგრამ არ არიან დასახელებულნი გამოქვეყნებულ სიაში.

ძალიან სასურველია აგრეთვე ბიოგრაფიებთან ერთად გამოგზავნონ მათი ფოტოგრაფიული სურათებიც, რომლებიც, თუ კი მოითხოვენ, შესაძლებელია ხელახლა გადაღებულ იქნეს და შემდეგ კი უკანვე დაბრუნებული.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია.

კომუნისტ სტუდენტთა რეგისტრაციისთვის

საქ. კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი პარტდისციპლინის წესით წინადადებას აძლევს საქ. კომპარტიის და კომუნ. ახალ. კავშირის წევრებს და კანდიდატებს რომელნიც ირიცხებიან სტუდენტებათ (უმაღ. სასწავლ. და მუშათა ფაკულ) ქ. თბილისში, მიუხედავათ იმისა, რომელ უმაღლეს სასწავლებლის კომუჯრედში არ უნდა ირიცხებოდენ ისინი, გამოცხადდენ საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტთან არსებულ კომ.-სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროში (რუსთაველის 22, მე 3-ე სართული) მათ აღრიცხვაზე ასაყვანათ. აღრიცხვა წარმოებულ იქნება ა. წ. 7 აპრილამდე, ამ დღის ჩათვლით, ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ვინც არ გამოცხადდება, დაისმება საკითხი იმათი უმაღ. სასწავლებლიდან დათხოვნის შესახებ.

ტფ. კომ. მდივანი **რუბენი**

კომ. სტუდენტობის ცენტრალური ბიუროს მდივანი **ჯაფარიძე.**

რკინის გზის სამმართველოს № 4 კომუჯრედში

ა. წ. 23 მარტს შესდგა რკინის გზის სამმართველოს № 4 კომუჯრედის ღია კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საანგარიშო ფინანსიური ნაწილის შესახებ.
2. მოხსენება ქალთა შორის მუშაობის შესახებ და
3. მორიგი საქმეები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კალანდია, რომელიც შეეხო რკინის გზის გაერთიანებისა და ახალი დებულების შემოღების დღიდან საანგარიშო და ფინანსიურ საქმეების გართულებას და ამის გამომწვევ მიზეზებს.

მანვე პასუხი გასცა მთელ რიგ შეკითხვებზე, რის შემდეგ გაიმართა მეტად საინტერესო კამათი.

კამათში მონაწილეობას ღებულობდენ ამხ. ვასილიევი, იაბლონოვსკი და სხვები.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მარკოვიჩმა, რომელმაც აღნიშნა ქალთა შორის მუშაობის წარმატება. დაარსებულია პოლიტიკური წრე 24 მომეცადინისა და სავუნდო სექცია 50 მონაწილისაგან.

მიმდინარე საქმეთა შორის მიღებულ იქნა ამხ. მელენტიევის წინადადება, რათა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს პირველ კომუჯრედს თავისი არსებობის 25 წლის თავზე და მისი დაარსების პიონერთ: ამხ. გიორგი ჩხეიძეს და არაქელ ოქუაშვილს გადაეცეს მისალმება და რევოლიუციის საკეთილდღეოთ მათი ხანგრძლივი სიცოცხლის წრფელი სურვილი. ხოლო გარდაცვალებულ ამხ. ზაქარია ჩოდრიშვილის ხსოვნას კომუჯრედმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს.

ამის შემდეგ დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი და ამხ. ზაიკინის განცხადება მისი პარტიაში მიღების შესახებ გადაეცა განსახილველად კომუჯრედის ბიუროს.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(4 აპრილი).

ოქროს 10 მან.—7100 გირვ. სტერლინგი — 4050. დოლარი —910. ლირა — 715. საბჭოთა ფულის ნიშნები —16.

ვალიუტა ბათომში

(3 აპრილი).

ლირები — 665. ოქროს 10 მან.— 6251. გირვ სტერ.—4655. დოლარი —979. საბჭოთა ფულის ნიშნები—16.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბათომი).

ხორბალი ყუბანის—480, ადგილობრივი—410, ბრინჯი „კულინის“—2600, ფქვილი „კრუპჩატკა“—1500, შაქარი ფხვნილი - 4600, ქარაქი—25,500 – 1500, ყველი თუშური—7800, საპონი მარმარილოს—3600, ნარმა არშინი—200 - 250.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

(4 აპრილი).

ბაზრის განწყობილება ხასიათდება ვალიუტის კურსის მცირე დაწევით.

ბრიუსელის ბაზრობა.

ბრიუსელის ბაზრობასთან ეწყობა რუსული განყოფილება, სადაც შესაძლებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების გამოსვლა.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(4 აპრილს).

მდგომარეობა მტკიცეა. ხორბლეულის და პურის პროდუქტების და აგრეთვე ნედლი მასალის ბაზარზე მდგომარეობა არ შეცვლილა. შაქრის ფასები იწევს. მანუფაქტურაზე, განსაკუთრებით ადგილობრივ ქსოვილებზე დიდი მოთხოვნილებაა. ქიმიური პროდუქტების ბაზარი გამოცოცხლებულია, მასიური მოთხოვნილების საგნები ბაზარზე ბლომათაა.

ოფიციალური ბარიგება.

4 აპრილს.

დამთავრდა მორიგება ჩეხო სლოვაკეთის შაქარზე (რაფინადი) 33 მანეთის ანგარიშით ყუთი გამყიდველის საწყობში მიტანით.

ბირჟის საქონლის განყოფილებას მიეწოდება.

შაქარი, გოგირდი, ბრეზენტის პლაშჩები, თეთრი ქესტი, ნაწლავები, ჯაგარი, სკიპიდარი, ჩაი, რკინეული, მატყლი, ბამბა, პრობკები, ლურსმანი, გადამდნარი ერბო, თუთუნი ფურცლებად, ცხიმი ტეხნიკური, წუმწუმა რუსეთის, ხილეულის კონსერვები.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი, შაქარი რაფინადი, პრობკები, შაბიამანი, მატყლი, ნაწლავები, ყუბანის ხორბალი, სოდა, თხილი ადგილობრივი, ვანილი, სპირტი, ქესტი, ბამბა, ფანჯრის მინები, ლურსმანი, წვრილი ბაწარი, მზესუმზირას ზეთი, ტეხნიკური ცხიმი, რკინის ბაწარი, ტყავეული ნედლი.

ვალიუტის კურსი ბაქოში.

4 აპრილს.

საბჭოთა ნიშნები—14 და 6 მეათედი.
ოქროს ათმანეთიანი—6710.
ჩერვონცები—4623.
ლირები—700.

მიმართვა

ტფილისის აღმასკომის საბჭოს წევრებისა, ყველა მუშა-მოსამსახურე და მოქალაქეთადმი

ამხანაგებო! პრეზიდიუმს ფიზიკურად არ შეუძლია მიაქციოს ყურადღება ყველა იმ დეფექტებს და ნაკლსს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი როგორც ჩვენს მართვა-გამგეობაში, აგრეთვე ქალაქსა და მაზრის ცხოვრებაში.

არის ბევრი საკითხები, საჭირბოროტო საქმეები, რომლების მოგვარება, მოწესრიგება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

გაზეთებში ხშირად არის მითითება ამ დეფექტებზე. მაგ. გაზ. „მუშას“ 30 მარტის ნომერში არის შენიშვნა შესახებ იმისა, თუ რა საშინელ პირობებში უხდებათ ცხოვრება თამბაქოს ქარხნის მუშებს საბჭოთა სახლში № 1.-

თბილისის საბჭოს და მის აღმასრულებელ ორგანოს მოვალეობაა ასეთ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და შესაფერი ზომები მიიღოს.

ამიტომ თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ამხანაგებს და განსაკუთრებით კი საბჭოს წევრებს მიუთითონ პრეზიდიუმს ყველა იმ ნაკლზე, ყველა იმ კითხვებზე, რომლების შესახებ საჭიროა ჩვენგან ზომების მიღება.

ჩვენ ვთხოვთ აგრეთვე ყველა შეგნებულ მოქალაქეთ მოგვითითონ ასეთ ნაკლზე როგორც პრესის საშვალებით, ისე პირადი განცხადებითაც.

პრეზიდიუმი სთხოვს პრესასაც, რაც შეიძლება ფართეთ იქნეს გაშუქებული ჩვენი ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხები, რომ ჩვენ გვქონდეს საშვალება საერთო ძალით, საერთო დახმარებით ამ კითხვების გადაჭრა და გადაწყვეტა მუშურ გლეხურ სახელმწიფოს სასარგებლოდ.—

პრეზიდიუმის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

საქმეთა-მმართველი,
პრეზიდიუმის წევრი **მესხი.**

ქრონიკა

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **შაბიამანის გაცემა.** მიწად-მოქმედების კომისარიატის აგრონომიული დახმარების განყოფილებამ ქუთაისის მაზრის აგრონომიულ განყოფილებას მისცა ათასი ფუთი შაბიამანი.

— **ჩამორთმეულ მამულების მოვლა.** ქუთაისის მაზრის აგრონომიულ განყოფილებამ იკისრა ჩამორთმეულ მამულების მოვლა და ხელმძღვანელობა.

— **სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება.** იმავე კომისარიატის აგრონომიულ დახმარების განყოფილებამ გაგზავნა გორის მაზრაში სპეციალური ტეხნიკი სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შესაკეთებლად. შეკეთება უკვე დასრულებულია.

— **სადედე-საჩვენებელი მინდვრები.** მარტის განმავლობაში სენაკის მაზრის სამ ადგილას მოეწყო მემინდვრეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის სადედე-საჩვენებელი მინდვრები. სენაკის მაზრის აღმასკომმა საგრძნობი თანხა გადასდო ორი ქვევა სანერგეს მოსაწყობად. საამისოდ უკვე შეძენილია 4 800 ძირი უჯიშოებისა, და 2.000 ძირი სხვა და სხვა დამყნილი ნერგებისა. აღნიშნულ თვის განმავლობაში შეძენილ იქნა ერთი ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

სახაზინო უწყებაში.

— **პარკის ოპერაციებისათვის.** ა. ქ. სასურსათო კომ. საქართვ. რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, აბრეშუმის პარკის ოპერაციების მთავარ რწმუნებულს—ლავიდოვს პარკის ოპერაციის წინასწარ ხარჯებისათვის მიეცა 250 მილ. მანეთი.

ფოსტა-ტელეგრაფში.

— ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა შემოიღო ამიერ-კავკასიის ყველა საფოსტო დაწესებულებებში რუსეთის რესპუბლიკის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ძლევის ხმა

ქვანად წითელ არმიელებს.

დრომ დასწყევლა გზა ღამისა
და უშიშარ ხმებით არემ
მზე რომ ნახა ცეცხლის სახით
მწუხრს გასძახის: გაჭერი ბარემ.

ო, თენდება და ილვიძებს
ჭრე-მარე მზის სხივებში,
შვების დროშა ფრთებსა ჰმართავს
წინეთ მდუმარ გზა ქუჩებში!

ვინ არ სტკბება? ვინ არ ხარობს?..
ჩუ! სიმღერა და მძლავრი ხმა:
...„შევუცვალოთ მტრებს იერი,
ავაყვავოთ ჩვენებურად
ძმებო, დებო ყველაფერი"!
მოვსპოთ ტანჯვა! მოვსპოთ ჯვარცმა!

ახ, ამ ცხოველ ცეცხლის მზგავს ხმებს
შეჰხარიან მზის სხივები,
და გუღერინ მძლე მებრძოლებს
თავისუფლების სიმები:

სალამი და გამარჯვება
თქვენი, ყველგან ბრძოლის ველზე:
სადაც არ სწამთ მუშის ძმობა
და ქსელს ქსოვენ იმის მკერდზე...

შრომის შვილნო! ჯერ ადრეა
ნუ ჩააგებთ ხმალს ქარქაშში,
კარ-გარეთში ჯერ ღამეა—
სწუხან ძმები ქარხანაში...

და გველიან... მათ სახსნელად,
გადავქანდეთ, გმირნო, მედგრად—
გავარღვიოთ მტრის ბანაკი
ძმებო ერთად, ძმებო ერთად!..

ერთად ძმებო! შემოვევლე
თქვენს მარჯვენას და თქვენს მკლავებს,
—დრომ დასწყევლა გზა ღამისა,
აწ ჩვენ ვერვინ შეგვაკავებს!..

გრ. ხილიაშვილი.

„ალდგომა"

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ავშირის მეეზოვეთა და დარაჯა სექციის საერთო კრებაზე, როლსაც დაისწრო გამგეობასთან ერად 600-დე წევრი, გამოტანილია, ათა არ იდღესასწაულონ 8—9 აპილს „ალდგომა", ამ დღეებში მოაყონ კვირაობა მტკვრის ნაპირების ა სხვა ანტისანიტარული ადგილეის გასასუფთავებლად და საერთო ალ-ღონით სარგებლობა მოუტანონ ანიტარულ საქმეს.

სექციის თავმჯდომარე **ტოპაძე.**

„გაუსწორებელი ადმინისტრატორები".

(იხ. გაზ. „კომუნისტი"-ს № 62)

(საპასუხო წერილი)

მიმდინარე წლის 20 მარტს გაზეთ „კომუნისტი"-ს № 62-ში, ზევით მოყვანილი სათაურით მოთავსებული წერილი, საერთოდ რკინის გზის სამმართველოს საექსპლოატაციო სამსახურის და განსაკუთრებით აღნიშნულ სამსახურის უფროსის ვილიკანინის მოქმედების შესახებ თანამშრომელთა შტატის დროს, არ შეიცავს სინამდვილეს. ამიტომ სიმართლის აღსადგენად გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი ახსნა-განმარტებანი რკ გზ. სამმართველოსი, რომელიც დამყარებულია უტყუარ ცნობებზე:

შტატის შემცირებაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენ სამჯერ გამოუძახეთ დეპეშებით პროფორგანოების წარმომადგენლებს (დეპ. № 120—5 თებ., № 142—8 თებ., № 167—17 თებ.). მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც არ ჩამოვიდა და იმათაც, ვინც ჩამოვიდნენ 9 თებერვალს, განაცხადეს, რომ შტატის შემცირება ჯერჯერობით ნაადრევი იყო. ამის შემდეგ რკინის გზის უფროსის ამხ. პოზდეევის განკარგულებით საექსპლოატაციო სამსახურის უფროსს (ვილიკანის) მიეცა წინადადება, რათა მას წარმოდგინა სია იმ პირთა, ვინც ვილიკანინის აზრით, შტატ გარეშე უნდა დარჩენილიყო და წარმოდგენილი სიით შტატის შემცირება უნდა ყოფილიყო დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარებული, რაც სისრულეში მოყვანილ იქნა. 12 აგენტებისაგან, რომელნიც შტატ გარეშე უნდა დარჩენილიყვნენ, დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან მხოლოდ 5, ორი კვირით წინდაწინ გაფრთხილებით და სალიკვიდაციო გასამრჯელოს მიღებით, 7 აგენტი კი უბნის კავშირთან შეთანხმებით დროებით დღიურ სამუშაოზე დარჩენ.

საჭიროა აქაც აღინიშნოს ისიც, რომ რკ. გზ. სამმართ. საოლქო ადგილკომმა 27 თებერვლის თარიღით № 278 დაადასტურა და მისცა თავისი სანქცია შტატის შემცირებას, ორი აგენტების გამოკლებით.

ამგვარად, შტატის შემცირება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ რკინის გზის უფროსის განკარგულებით და საექსპლოატაციო სამსახურის უფროსს არავითარი უკანონობა არ ჩაუდენია.

ამ.-კ. რკ გზის უფროსის მოადგილე ლედერი.

ადგილკომის ანგარიში.

მიმდინარე წლის 28 მარტს ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგა „კვება-გემოს" კავშირის წევრების მეორე რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობდა ამხ. სვანიძე, მდივნობდა ამხ. ფეოხარი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მეორე რაიონის რაიადკომის ანგარიში.
2. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს რაიადკომის მდივანი ამხ. რევია. რომელიც ფართედ აშუქებს რაიკომის მუშაობას 6 თვის განმავლობაში. აღნიშნულ დროის განმავლობაში ადკომს ჰქონია გასარჩევად და თავის განაჩენის გამოსატანად 26 კონფლიქტი, რომლებიდან 20 კონფლიქტი გარჩეულა და დამთავრებულა ადგილობრივ თვით ადკომის მიერ, 6 კი გადაცემულა პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში. რაც შეეხება შრომის დაცვის კანონების დარღვევას, ამხ. რევია ამის შესახებ ამბობს, რომ ასეთებს ჰქონდა ადგილი რამდენიმე დამქირავებლების მხრივ, რამაც გამოიწვია მათი გასამართლება და დაჯარიმება. ერთი მათგანი სახალხო სასამართლოს განაჩენით დაჯარიმებული იქნა 500 მან. ოქროთი და მეორე 150 მან. ოქროთი. გარდა ამისა კიდევ ცხრა კაცზე არის შემდგარი ოქმები მე 2 რაიონის შრომის ინსპექტორის მიერ და ახლო მომავალში სახალხო სასამართლოს გადაეცემა. კოლექტიური ხელშეკრულება დადებულია მხოლოდ ორ წარმოებასთან. დანარჩენებთან კი ჯერჯერობით ხელშეკრულება კავშირს არ დაუდვია.

მასთან ამხ. რევია აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში შრომის დაცვას თვითონ მუშები არ უწყობენ ხელს კლასობრივი შეუგნებლობის გამო და თავიანთ მეპატრონეებს უჭერენ მხარს, რასაც სასტიკად ებრძვის ადკომი.

ადკომი აგრეთვე ებრძოდა წევრთა შორის არსებულ ბოროტმოქმედებას. ამ მიზნით ორი წევრი მოხსნილ იქნა სამსახურიდან ქურდობის გამო და ორიც იქნა გადაყვანილი ერთ ქარხნიდან მეორეში სხვა და სხვა მიზეზების გამო. გარდა ამისა რაიადკომის დადგენილებით გადადებულია 10 მილიონი მან. წითელ არმიის სასარგებლოდ.

საწევრო გადასახადის თავის დროზედ კავშირში შეტანა სასურველად ვერ ტარდება და ამის გამო 80 მილიონი მან. ჯერაც არ არის შეტანილი კავშირში და სხვა.

კრება თავის რეზოლიუციაში ადკომის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად.

მუშა ბ. მ-შვილი.

მუშათა ქრონიკა.

შრომის კანონების დამრღვევლთა გასამართლება.

ამ დღეებში მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორ სუხორუკოვის მიერ შრომის კანონების დარღვევისათვის შეყენებულია ოქმები და პასუხისგებაში მიცემული არიან შემდეგი მოქალაქენი:

— 1. **გახილი სიმონის ძე ყიფიანი**, წიგნის საკინძავი სახელოსნოს პატრონი, რომელიც ამუშავებდა 13 წლის ყმაწვილს დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე და ხელფასს კი აძლევდა 20.000 მანეთს დღიურად და სადილს ამას გარდა ბავშვი ოჯახში მოსამსახურეობასაც უწევდა მოქ. ყიფიანს და საანგარიშო წიგნაკი კი ბავშვს არა ჰქონდა.

— 2. **ახნამ ახატურის ძე მაგარიანცი**, სამკერვალოს პატრონი. ამუშავებდა სამ მკერვალ ქალს და ერთ მცირეწლოვან ყმაწვილს და ამათგან კი ბავშვი ჯამაგირს არ ღებულობდა, ხოლო ქალები ძალიან მცირეს. ყველა მუშები შრომის ბირჟას გარეშე იყვნენ მიღებული და საანგარიშო წიგნები მათ არ აქვთ. მასთან მაგარიანცს დამზღვევ კასაში ხვედრი ფული არ შექონდა.

— 3. **ქრისტეფორე მანუკიანი და ოვანეს ლარიხოვი**, ელექტრო ტექნიკურ კანტორა „ვატტ"-ის მფლობელნი. მუშაობს ამათთან მცირეწლოვანი ობლაშვილი დილის 9 საათიდან საღ. 6 საათამდე. ობლაშვილი ღებულობდა თვიურად მხოლოდ 200.000 მან. და სადილს ყოველდღიურად. მეპატრონეებმა ერთხელ ბავშვს ისე სცემეს, რომ კინაღამ ის ხელში შემოაკვდათ მისთვის, თითქოს მას ელექტრონის ლამპა მოეპაროს, რაც სრულიად ვერ დამტკიცდა. მცირეწლოვანს გარდა აქ მუშაობს ხელოსანი ხოტულაშვილი, რომელიც ბირჟის გარეშეა მიღებული. არც ერთს მათგანს საანგარიშო წიგნაკი არა აქვს. თვით მეპატრონეებს დამზღვევ კასაში ფულები არ შექონდათ და სხვა.

...ფოსტო დაწესებულებებთან ფულების და დეპეშების გადასაგზავნი ოპერაციების წარმოება. გადაგზავნა მიიღება და გადახდილი იქნება ამიერკავკასიის, ან რუსეთის საბჭოთა ფულის ნიშნებით, კორესპოდენტის სურვილის თანახმად.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **ექიმების აღრიცხვა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა საქართველოს ექიმების და მათი თანაშემწეების აღრიცხვაზე აყვანას, ჯერჯერობით ქ. თბილისში აღრიცხულია: ექიმები 455, ექიმების თანაშემწეები—130, ბებია ქალები—66, მოწყალების დები—64, კბილის ექიმები—142 და ფარმაცევტები—220.

ქალაქის აღმასკომში.

— **სასაფლაოების შესახებ.** ქალაქის აღმასკომმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ეკლესიის მსახურნი ეწევიან სპეკულიაციას სასაფლაო მიწების გაცემით, დაადგინა სასაფლაო მიწის გაცემა ხდებოდეს მხოლოდ აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილების ნებართვით.

— **საკოოპერაციო განყოფ. გახსნა ალექსანდრეს საავადმყოფოსთან.** უკვე დასრულდა მუშაობა ალექსანდრეს საავადმყოფოსთან საკოოპერაციო განყოფილების მოსაწყობად.

— **ავლაბრის ხიდის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით დაევალა საამშენებლო განყოფილებას 15 აპრილიდან შეუდგეს ავლაბრის 1-ლი ხიდის შეკეთებას.

— **საპატიმრო სახლების გაუმჯობესება** ქალაქის აღმასკომის ცენტრალურ საამშენებლო განყოფილებამ დაასრულა ტფილისის საპატიმრო სახლების შეკეთება, შეკეთებული იქნა სულ 11 სამილიციო უბანში.

განათლების კომისარიატში.

— **ბავშვთა თავშესაფარი.** სახ. განათლების კომისარიატის მცირეწლოვანთა უფლების დაცვის განყოფილების განმანაწილებელ თავშესაფარში პირველ მარტამდე ირიცხებოდა 131 [illegible] ბავშვი (66 ვაჟი, 65 ქალი). მარტში მოემატა 24. ქუჩიდან აყვანილი იქნა—2, საავადმყოფოდან—3, შრომის კომ. გამოგზავნილი—1, სხვა და სხვა ადგილებიდან—13. გაიგზავნა სხვა და სხვა თავშესაფარში—83, დარჩა 1 აპრილისათვის—22.

— **პოლიტ-განათლების მთავარ-მმართველობის ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პოლიტ განათ. მთავარ-მმართველობის ყოველთვიური ჟურნალი „განათლება და კომუნიზმი".

გამომცემლობა.

— **საქ. კომპარტ. (ბოლშ) ცეკას გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო ცეკას გამოცემა ქართულ ენაზე—ვ. ლიბკნეხტის **„მოგონებანი მარქსის შესახებ".** წიგნი შეიცავს 78 გვერდს და დართული აქვს ვილჰელმ ლიბკნეხტისა და მარქსის სურათები. წიგნის შინაარსი: როგორ გავიცანი მარქსი. პედაგოგიკის დარგიდან და სხვა. მარქსი—მასწავლებელი. პოპულიარობა. ნიღაბები, ადამიანები და ფოტოგრაფიები. „გენიოსი—მეცადინეობაა"! მეგობარი და მასწავლებელი, ურკვარტი. ბარტელები. მარქსი და ბავშვები. შახმატის მოყვარე მატჩი. მინდვრებსა და ველებში რამდენიმე არასასიამოვნო წუთი. პატრიოტიზმი და ის, რაც მას მოჰყვება. ავადმყოფობა და სიკვდილი. გამგზავრება არქეოლოგიურ გამოკვლევათა მიზნით.

დამზღვევ კასაში.

— **მეეზოვეთა დაზღვევა.** დამზღვევი კასის პრეზიდიუმმა დაადგინა დაზღვეულ იქნან მეეზოვები საერთო წესით.

— **ახალი ამბულატორიები.** დამზღვევ კასამ წინადადება მისცა საექიმო განყოფილებას ყოფ. კადეტის ქუჩაზე გახსნილ იქნას ამბულატორია.

ხმა და ხმა.

— **შეცდომის გასწორება.** 4 აპრილის ნომრის ახალ ამბებში სწერია: აღდგომის სადღესასწაულო დღეებათ ითვლება 8 და 9 აპრილი, ხოლო 7 აპრილს მუშაობა უნდა შესწყდეს დღის 12 საათზე. უნდა იყოს. აღდგომის სადღესასწაულო დღეებათ ითვლება 7, 8 და 9 აპრილი, ხოლო 6 აპრილს მუშაობა უნდა შესწყდეს დღის 12 საათზე.

— **სამკითხველო წითელ არმიელთათვის.** წითელ-არმიელთა ცენტ. კლუბთან გაიხსნა სამკითხველო წითელ-არმიელთათვის—რომლის მუდმივ მკითხველთა რიცხვი აღემატება 1000 წევრს.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** ბოროტმოქმედებმა მორგებული გასაღებით გააღეს ქართული დივიზიის ლაზარეთის კოოპერატივი, საიდანაც წაღებულია 140.000.000 მანეთი. კვლევა ძიება სწარმოებს.

— სასტუმრო „გრანდ-ოტელ"-ში ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მოქ. სარაჯიანცის ბინა, საიდანაც წაღებულია ნივთეულობა 100.000.000 მან. ღირებული.

— **მკვლელობა.** შემოკლებულ ქუჩაზე, (მე-4 უბანში) მოკლულ იქნა ვინმე მარიამ გრიგოლის ასული არშუა, რომლის მკვლელობაც ბრალდება არუთინოვს. არუთინოვი შეპყრობილია.

ხელოვნება

ან. აუშტრიანის მოხსენება „ახალი ქართველ მწერლების" შესახებ.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების დღეებში რამდენიმე პასუხისმგებელ კომუნისტ ამხანაგთა დახმარებით თბილისში დაარსდა სომხური ხელოვნების სახლი („აიარტუნი"). ამ სახლის ჭერ ქვეშ თავი მოიყარეს ხელოვნების მუშაკებმა და შეუდგენ მუშაობას. ეს მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მარტო ყოფილ გამგეობის შემადგენლობაში, არამედ ობიექტიურ პირობებშიც.

ამგვარი მდგომარეობა, ცხადია, ვერ გასტანდა დიდხანს და მოითხოვდა რადიკალურ ცვლილებას როგორც ადმინისტრატიულ, აგრეთვე პროგრამულ დარგში. ასეც მოხდა. ამ წლის დამდეგში მოხდა ეს ცვლილება. გამგეობა გამოიცვალა მთლად. იგი შესდგა პასუხისმგებელ კომუნისტებისაგან. მათ შეუერთდნენ ძველ გამგეობიდგან რამდენიმე წევრები, როგორც წარმომადგენლები ხელოვნების. ახალ გამგეობამ, რომელშიც შედიან ს. ხანოიანი, ა. ხუმარიანი, ს. ერზინკიანი, კ. მიჯანოვი, ა. სურხათიანი, ივ. პოლოსიანი და ბელოიანი და ამათთან ერთად დ. დემირჯიანი, გ. შარბაზჩიანი, ის. ალიხანიანი და ბ. მირზოიანი, თავის მოღვაწეობის საფუძვლად მიიღო მხედველობაში მუშათა კლასის დიდი მოთხოვნილობა ხელოვნების სფეროში და დაისახა მიზნად დაარღვიოს აკადემიურ მუშაობის ფარგლები და დაუახლოვდეს მუშებს. მეორე მხრით გამგეობამ, გაბედულად მიჰმართა პროგრამის იმ პუნქტს, რომელიც ხელუხლებელი იყო აქამდის. ე. ი. დაისახა მიზნათ გააცნოს თბილისში მცხოვრებ სომხურად მოლაპარაკე მუშებს რუსულ ქართულ და თათრული ხელოვნება. შეუდგა კიდევაც ამის განხორციელებას. ამ მიზანს ემსახურებოდა აი. არტუნის მიერ მოწყობილი ა. აუშტრიანის მოხსენება, ქართველ ახალგაზრდა მწერალთა შესახებ, რომელიც მოეწყო შაბათს, 31 მარტს. აი. არტუნის დარბაზში.

მომხსენებელმა განიხილა ირ. ევდოშვილის შემოქმედება 1907 წლამდის, შეჩერდა აგრეთვე ვ. რუხაძის პოეზიის საყურადღებო მხარეზე და გამოსთქვა საერთოთ ის აზრი, რომ ხსენებულ პოეტების შემოქმედება გასცილდა დროთა განმავლობაში აღნიშნულ გზას. მათ თავიანთი ლექსების შინაარსი ამოჰკრიფეს მუშათა კლასის ცხოვრებიდან, განამარტეს ამ კლასის სულისკვეთება, მისწრაფება. მაგრამ, როგორც მენშევიკებმა უღალატეს და პირი აუქციეს მუშათა კლასს და ჩაიხრჩვნენ ნაციონალიზმის ტალღებში აგრეთვე ამ პოეტებმაც უარი განუცხადეს თავიანთ მაღლებულ იდეიას და გაიტაცნენ ნაციონალიზმის ცრუ მისწრაფებით.

აუშტრიანმა განიხილა აგრეთვე ეგრედწოდებული სიმბოლისტების პოეზიაც, რომელთა წარმომადგენელნი არიან გ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, და სხვანი. და გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ ჯგუფის შემოქმედებას აკლია სიცხადე. სიმბოლები, რომელსაც ხშირად მიჰმართავენ ხსენებული პოეტები გაუგებარი და აუხსნელია ხშირად არა მარტო საშუალო მკითხველისთვის, არამედ ბევრ ინტელიგენტებისათვისაც. მათი პოეზიის გზა წარმოადგენს პორნოგრაფიის და ბოგემიზმის სარბიელს.

მომხსენებლის სიტყვით სულ განცალკევებული ადგილი უკავია ი. გრიშაშვილის პოეზიას. მისი ლექსის შინაარსი გამოსთქვამს პოეტის სიყვარულს, რომელიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ ქალის ტანს. რაც შეეხება გრიშაშვილის პოეზიის ხელოვნებას, მომხსენებლის აზრით გრიშაშვილი სიტყვის დიდი ხელოვანია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა ამხ. ამხ. ს. ხანოიანმა, დ. დემირჯიანმა, ივ. პოლოსიანმა, გ. ღარაჯიანმა, ან. თუმანიანმა და სხვა.

გატარდა ის აზრი, რომ არა თუ მარტო ევდოშვილი, რუხაძე და სხვა, არამედ საქართველოს მთელი ლიტერატურა წარმოადგენს ქართველ ერის პოლიტიკურ მოძრაობის სარკეს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სომხურ ლიტერატურის შესახებ, რადგან სომხურ სინამდვილეს არ მიუცია იმდენი მასალა პოლიტიკურ ცხოვრებიდან სომეხ მწერლებისთვის, რამდენიც მისცა საქართველოს ცხოვრებამ. და ამიტომ ბევრ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების გაცნობისთვის შეგვიძლიან დარწმუნებით მივმართოთ ქართულ ლიტერატურას.

კამათის შემდეგ წაიკითხეს რამოდენიმე ლექსები ან. აუშტრიანმა, ივ. პოლოსიანმა ქართულ და სომხურ ენაზე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ს. ოგანეზაშვილის არტისტულმა თამაშმა. ვუსურვებთ, რომ აიარტუნის მუსიკალურმა სექციამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს თავის მუსიკალურ მუშაობას და ახლო მომავალში გამოვიდეს ასპარეზზე გარკვეულ პროგრამით.

დარბაზში თავი მოეყარათ ლიტერატურის მოყვარე ინტელიგენციას და აგრეთვე მუშებს სხვადასხვა დარგებიდან.

ივ. გურჯიანცი.

— **მომღერალი ელიოზიშვილი.** ახლო ხანში სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მომღერალ ელიოზიშვილის კონცერტი, რომელზედაც უმთავრესად შესრულებული იქნება ქართული რომანსები.

პროფკავშირებში

— **შოფერების თავგასულობასთან ბრძოლა.** საქ. პროფ კავშირთა საბჭომ გამოსცა ცირკულიარული დადგენილება გამორიცხულ იქნან პროფკავშირებიდან ის შოფერები, რომლებიც დაარღვევენ ავტომობილების მოძრაობის შესახებ შემოღებულ სავალდებულო წესებს.

— **ფეიქართა ყრილობა.** უახლოეს მომავალში მოწვეული იქნება ფეიქართა ყრილობა. ყრილობა გაარჩევს შემდეგ საკითხებს: ოქროს მომგებიანი სესხის და სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობა.

— **ანტი-სარწმუნოებრივი წარმოდგენები.** ფეიქართა კავშირმა დაადგინა მოაწყოს ანტისარწმუნოებრივი წარმოდგენები. აღნიშნულ წარმოდგენების მოსაწყობად კავშირმა გადასდვა სათანადო თანხა.

საქარ. პროფკავშ. პრეზიდიუმში.

პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტის ორგანიზაციისათვის.

პრეზიდიუმმა არსებულ პირობებში მომზადებულ ძალთა უყოლობის გამო პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტის ორგანიზაცია არა დროულად იცნო. კულტ. განყოფილებას დაევალა ხელმძღვანელების გაგზავნით, მასალების შეკრებით და მათი გამოცემით ხელი შეუწყოს მუშათა წრეების ნაყოფიერ მუშაობას. აგრეთვე პრეზიდიუმმა საჭიროდ იცნო ყოველგვარ დახმარების აღმოჩენა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამომცემლობისადმი.

ორკვირეულ ჟურნალის გამოცემა.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების თათბირის დადგენილება რუსულ ენაზე ორკვირეულ ჟურნალის გამოცემის შესახებ.

პროვინციაში

სუფსა (გურია)

ბრძოლა ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

27 მარტს ადგილობრივი ტყის უფროს დარაჯი ამხ. სერგო ჩხარტიშვილი თავის თანაშემწე დარაჯის მოქ. ივანე ჰყონიას თანხლებით გაემგზავრა მახლობელ ტყის დასათვალიერებლად. ტყეში შესვლისას ზემოხსენებული პირები უცაბედათ წააწყდნენ შეიარაღებულ ბანდიტების რაზმს, რომლებმაც მისულებს იარაღი ახადეს და დაატყვევეს. ბანდიტების ხელმძღვანელი ლასა მანწკავა დაახლოვებით იცნობდა ჩვენ პარტიულ ამხანაგს ჩხარტიშვილს და ამიტომაც ბანდიტებს დიდი თათბირი არ დასჭირვებიათ რომ, ს. ჩხარტიშვილისთვის სიკვდილის განაჩენი გამოეტანათ. მაგრამ მათ გადაწყვეტილებას წინაღუდგა მოქ. ივ. ჰყონიას გამოცდილი და მოხდენილი სიტყვები, რომლებმაც საკმაო გავლენა მოახდინა ბანდიტებზე, რომ ჩხარტიშვილის სიკვდილი მათთვის უფრო მეტი საზიანო იქნებოდა. ამის შემდეგ შესცვალეს გადაწყვეტილება, მხოლოდ ბრძანეს: „ჩვენს წასვლამდის აქედან ვერ დაიძრებით" ო. და მახლობელ, შეხიას კარავში დაამწყვდიეს ორივე ტყ ე. ამ კარავში მათ მთელი დღის განმავლობაში თავი მოუყარეს ათიოდ კაცს, რომლებიც სხვა და სხვა სამუშაოდ იყვნენ ჩასულნი. კარავს ყოველ კუთხიდან დარაჯობდენ ბანდიტები, რომ ან არ გაქცეულიყვნენ და ან რაიმე ცნობის მიწოდება არ შეძლებოდათ დატყვევებულებს. ბოლოს, როგორც იყო, მეორე დღის, საღამოზე გაანთავისუფლეს დაჭერილები და თვითონ თავიანთ გზას გაუდგენ. მოვიდნენ თუ არა ზემოხსენებული პირები სუფსაში და მოიტანეს ასეთი ცნობა ყაჩაღების ახლოს ყოფნის შესახებ, რომლებიც, როგორც დატყვევებულები ამტკიცებდენ, ცხრა კაცისაგან შესდგებოდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელათ ამცნო მაზრას, საიდანაც სასწრაფოდ გაჩნდა ყაჩაღებთან მებრძოლი მფრინავი რაზმი ამხ მელენტი ანდღულაძის მეთაურობით. ამასთანავე საჩქაროდ იქნენ გამოწვეული, როგორც პარტიული ამხანაგები, ისე ადგილობრივი მცხოვრებლებიც. პირველ რიგში იარაღი დაურიგეს ბაზრის მოქალაქეებს რომლებიც ფეხდაფეხ გაეშურენ დანიშნულ ალაგას აღსანიშნავია ის ერთსულოვანი მოქმედება, რომელიც სუფსის თემის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს ამ დღეს ყაჩაღების შესაპყრობად. ალბათ ეს ბანდიტებმაც კარგად შეამჩნიეს, რომ ხალხი მთავრობის დახმარებით ცდილობს ამ ნაძირალების სრულიად მოსპობას ე. ი. იმ დილასვე, როდესაც ბანდიტების საწინააღმდეგო ოპერაცია დაიწყო, ცნობა მოვიდა, რომ ისინი მდ. სუფსაზე გასულიყვნენ, მათ ფეხ და ფეხ დაედევნა ცხენოსანთა რაზმი. ნატანებში დეპეშით შეატყობინეს, რომ გზა შეეკრათ. მიღებულია სწრაფი ზომები მათ შესაპყრობად იმედია თუ ჩვენი მეზობელი თემის მცხოვრებნიც იმავე ენერგიას გამოიჩენენ, როგორ სუფსამ გამოიჩინა, მაშინ ბანდიტები ვერსად ვერ დაიბუდებენ და დღეს თუ ხვალ მათ სრული განადგურება მოელით.

29 მარტს სამტრედიიდან აქ ჩამოიყვანეს დაჭერილები ცანავა და მისი ამხანაგები, რომლებსაც ბრალდება ად. მცხ. ის. გოგუაძის გაქურდვა, რომელსაც მათ მოპარეს 15-20 მილიონის საღირალი ოჯახის სამკაულები და ტანისამოსები. ადგილობრივი ხელისუფლებამ მათ კვალს მიაგნო და დღეს ეს ვაჟბატონები ღირსეულ განაჩენს ელიან. საერთოდ გურია დიდ აქტიობას იჩენს ბანდიტების და ქურდების ძირიანად ამოფხვრაში.

ჩ. თოდრია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს, 7 აპრილს დღის 11 საათზე იწვევს პირველი მაისის დღესასწაულის გამტარებელი კომისიის თათბირს.

მოწვეულნი არიან კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის, პროფკავშირთა საბჭოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების განყოფილების, საკომენდანტოს, ტფილისის აღმასკომის განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და რაიონული საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ესსენი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ხუთშაბათს, 5 აპრილს დღის 1 საათზე იწვევს რაიონულ საგიტაციო განყოფილებათა გამგეების თათბირს. დღის წესრიგი:

1. რაიონულ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა მუშაობა.
2. მიმდინარე საქმეები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ესსენი.

მარქსისტულ წრეების მეცადინეობა

— 2. ხუთშაბათს, 5 აპრილს საღამოს 6—8 საათამდე „განათლების მუშაკთა სახლთან" არსებული წრე (რუსულ ენაზე), ხელმძღვანელი ამხ. სუროვენკოვი.

— 3. მბეჭდავების წრეში მეცადინეობა ხელმძღვანელების გამგზავრების გამო არ შესდგება,

ს. კ. მ. ც. კ. საგიტ. საპრ. გან.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლეში) 2 აპრილიდან დაიწყება მთელ რიგ ლექციების კითხვა მსოფლიო-წარმოშობის და ანატომიის შესახებ.

ლექციები მსოფლიოს წარმოშობის შესახებ წაკითხული იქნება ორშაბათობით კლუბის დიდ ან პატარა დარბაზში საღამოს 8 საათზე. ლექციები ანატომიიდან—ხუთშაბათობით კლუბის დიდ დარბაზში საღამოს 8 საათზე.

პოლიტიკური და მარქსისტული წრეების ყველა მსმენელები ვალდებული არიან დაესწრონ ამ ლექციებზე. შესვლა თავისუფალია ყველასათვის.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელი მდივანი [illegible]

პროფესიონალური

— პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე საუბარი ტექნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის" შესახებ (რუსულ ენაზე).

სახლის გამგე—შიუკაშვილი-კალიოფანაია.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 295—1—1

დღეს, 5 აპრილს,
ქეთო და კოტე
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რეზინის ტრესტი
ტფილისის განყოფილება.
საბითუმო-საწვრილმანო
ვაჭრობა
სოლოლაკის ქ., სახლი № 4 ტელეფ. 4—86.
საწყობებში ყოველთვის გვაქვს რეზინის ნაწარმოებთა დიდი პარტია.
ამ დღეებში ველით ავტომობილის, ველოსიპედის და ეტლის შინების დიდ პარტიას.
სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატივებს მიეცემათ შეღავათი.
კრ. 302 2—1

ქიზიყ-კახეთის აქციონური საზოგადოების გამგეობა
აცხადებს, რომ წინანდელი გამგეობისაგან 1923 წ. 11 მარტამდე გაცემული რწმუნებები სხვადასხვა პირებზე გაუქმებულია.
494 1—1 გამგეობა.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი
ამით აცხადებს ღვინის ბითუმათ მყიდველების საყურადღებოთ, რომ მათ შეუძლიანთ იყიდონ
ღვინო
თბილისის სახალხო ღვინის სარდაფიდან (ყოფ. საუფლისწულო) არა ნაკლები
ასი ბოთლისა ათი პროცენტის
დაკლებით არსებულ ფასებიდან. მისამართი: სარდაფის კონტორა, ქ. საუფლისწულო № 1. (483—3—3)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ბლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ზებუთოვის ქუჩა № 28 (284—26—24)

ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე
იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ავაქ ზაქარიას ძე ზახაროვის დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის ვადაში.
სახალხო მოსამართლე თეთრაშვილი.
№ 489 1—1

დაიკარგა ვართან მარქაროვის სახელზე ალექსანდროპოლში გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 491 1—1

დაიკარგა გიორგი ვლადიმერის ძე სტოიანოვის სახელზე ბესარაბიის გუბერნიის ორგეევის მაზრაში გაცემული უვადო საპასპორტო წიგნაკი № 986 და მეტრიკული ამოწერილობა, ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 492 1—1

დაიკარგა ბილეთი მოცემული შრომის ბირჟიდან 1 მარტს 1923 წ. № 820 ვალერიან ჯაშის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
№ 490 1—1

საქ. ს. ს. რეს. ჯანმრთელობის კომისარიატი!
კურორტების მთავარი
სამმართველო
საქართველოს კურორტების აღსადგენათ მომავალ სარემონტო-სატეხნიკო მუშაობისა და სამრეწველო წარმოებათა ექსპლოატაციისთვის საჭიროა შემდეგი მასალა: რკინეულობა სხვა და სხვა, სალებავი, წყალსადენის და ელექტრონის მოწყობილობა, ინვენტარი სანატორიუმებისა და სამკურნალოებისათვის და სხვა. აგრეთვე მთავარ საკურორტო სამართველოში იყიდება:
1. ბორჯომის წყალი, 2. ნახშირმჟავე გაზი (CO_2)
3. მინის ჭურჭელი, 4. ტყის მასალა დაუხერხავი და დახერხილი.
მიწოდებით და შეკვეთით შეიძლება მიმართოთ მთავარ საკურორტო სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილებაში
(საპიორ. ქ. № 30, ტელეფონი № 4-08.) (კრ. 293—3—2)